645
1990/12

12 ISSN 0321-1509
1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მანდილი

აღზარდე შვილი, მიეც მაღლა სულს,—
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურბენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომ-[illegible]იძე, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე ამერიკიდან ახლადდაბრუნებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტები (მარცხნიდან მარჯვნივ): ნინო ფაჩულია, ნინო ცისკარიძე, ქეთევან ცქვიტარია, თამარ მაღრაძე და ნათია მუზაშვილი.
გონდო დვალიშვილის ფოტო.
მეოთხეზე — ზამთარი. ე. ნადარეიშვილის ფოტო.

ძვირფასო ავტორებო! გთხოვთ 6 ნაბეჭდ გვერდზე ვრცელ წერილს ნუ შემოგვთავაზებთ.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, ул. М. Костава 14.



თენგიზ სიგუა
საქართველოს რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე



აკაკი ასათიანი
საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე



ნემო ბურჭულაძე
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

# საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს შეურიგებელი, დემოკრატიული ოპოზიციის ძალისხმევით მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართა მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოური არჩევნები. ამ არჩევნებში ქართველმა ერმა გამოხატა თავისი ნება, მან თავისი ნდობის მანდატი გადასცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდს — გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ“! გილოცავთ ამ გამარჯვებას, მეგობრებო!“

„როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება ეკონომიკური რეფორმა გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკური დიქტატისაგან მისი განთავისუფლება, ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, მიწის კანონი, პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი პრინციპები, მუნიციპალური არჩევნები, სამართალდამცავი ორგანოების დეპარტიზაციისა და მართლწესრიგის განმტკიცების ღონისძიებანი, კულტურისა და განათლების სისტემის რეორგანიზაცია“.

„ცენტრის ყოველგვარ საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ჩარევას ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩვენ ვუპასუხებთ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მძლავრი აქტებით, რათა მეტროპოლიამ ველარ შეძლოს თავისი დიქტატის განხორციელება. ასე იქნება მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე. ჩვენ ვცნობთ მხოლოდ საერთაშორისო სამართალს და მასზე დავაფუძნებთ ჩვენი ქვეყნის შიდა კანონმდებლობას. მართალია, დღეს ჩვენ უკვე ხელისუფლების სათავეში ვართ, მაგრამ ცენტრისადმი მაინც ოპოზიციად ვრჩებით“.

„როგორც ჩვენს პროგრამებშია აღნიშნული, გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური რეფორმის ძირითადი მიმართულება იქნება ბიუროკრატიული აპარატის, არსებული საბჭოთა იმპერიული სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, ე. წ. ნომენკლატურული სისტემის გაუქმება და არჩევითობის პრინციპის დამკვიდრება აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითს სტრუქტურებშიც, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში“.

„რამდენადაც ჩვენ ვიბრძვით ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ჩვენი სახელმწიფოწყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებებს, რათა ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დასამკვიდრებლად“.

„საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩვენებითი განხორციელება“.

„მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ უგულებელვყოფთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელნიც კანონიერად მკვიდრობენ ჩვენს მიწა-წყალზე და ხელს უწყობენ ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“.

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი „დიდება"

### ქ. ფოცხვერაშვილის ტექსტი და მუსიკა

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა;

ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ განთიადსა!

## დიდება

ქართული ეროვნული ჰიმნი

სიტყვები და მუსიკა - კოტე ფოცხვერაშვილის

მედიდურად - მძიმე
ან ფორტეპიანო






# ჯანმრთელი მომავლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **ირინე ცომაია** წლების მანძილზე მუშაობს სახაგრომრეწვის რესპუბლიკური საწარმოო—სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმიის" თავმჯდომარის მოადგილედ. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან და მწვავე აგროეკოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე დღეისათვის მთლიანად შეიცვალა აღნიშნული გაერთიანების საქმიანობა და მუშაობის შინაარსი, რის გამოც დღეს მას ჰქვია: „ნიადაგის ნაყოფიერებისა და მცენარეთა დაცვის რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება". შესაბამისად გარდაიქმნა „სოფლქიმიის" საოლქო და რაიონული სამსახურებიც.

საქსახაგრომრეწვის პრესცენტრის ხელმძღვანელი ქრისტეფორე გოგიჩაშვილი ამ დღეებში შეხვდა ირინე ცომაიას და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე:

**— სოფლის მეურნეობის დღევანდელი დონით ხალხი შეშფოთებულია, რადგან დიდ დეფიციტთან ერთად პროდუქტები, მინერალური სასუქებისა და პესტიციდების უდიერი გამოყენების შედეგად, მათი ნარჩენებით არის დაბინძურებული, ეფექტიანად ვერ მუშაობს სამეურნეო მექანიზმი, როგორ გესახებათ ამ კრიზისიდან გამოსავალი?**

— დასმულ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. საქმე ის არის, რომ საქართველოს ნიადაგების უმრავლესობა გაღარიბებულია, საკვებ ელემენტთა ბალანსი უარყოფითია, ნიადაგი განიცდის ჰუმუსის დეფიციტს, რადგან ათობით წლის მანძილზე მის უსისტემო, არასწორ ექსპლუატაციას ვეწეოდით.

**— გამოდის, რომ მოსავალს უსასუქოდ ვერ მივიღებთ?!**

— საკითხის ასე დასმა პრაქტიკული და მეცნიერული თვალსაზრისითაც გამართლებული არ არის. რესპუბლიკის პირობებში სასუქების გამოყენებას, როგორც უხვი და ხარისხიანი მოსავლის მოწევის მძლავრ საშუალებას, დიფერენციული მიდგომა სჭირდება. დასაშვებად მიმაჩნია ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებში აზოტიანი სასუქების გამოყენების მაქსიმალური შეზღუდვა. სხვა კულტურებში კი იგი უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების მკაცრი დაცვით.

**— როგორ აღვადგინოთ ეს დარღვეული წონასწორობა? განა ჩვენი წინაპრები ასე უდიერად ექცეოდნენ ერის ყველაზე დიდ სიმდიდრეს?**

— ჰუმუსის უდეფიციტო ბალანსის მისაღწევად საჭიროა ჰექტარზე 15 ტონამდე ორგანული სასუქის (ნაკელის) შეტანა. ჩვენ კი, რესურსების შეზღუდულობის გამო, 2,5 ტონა შეგვაქვს. ჩვენი წინაპარი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა მარცვალწარმოებას და მასზე დაფუძნებულ მეცხოველეობას. დიდებულად მუშაობდა ბუნებრივი კონვეიერი: მიწა საქონელს ინახავდა, საქონელი კი მიწას, ორივე — ქართველ კაცს. ახლა კოლხეთის დაშრობილი მიწებიც ორგანულ სასუქს ითხოვს, ჩვენ კი ვერ შეგვაქვს და ამდენი ნაკელი წყალში იყრება. ერთგვარი პარადოქსია, რომ უსასუქოდ მოყვანილ პროდუქტშიც აღმოჩნდა ნორმაზე მეტი ნიტრატები, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს და მარტო აზოტიანი სასუქების გამოყენებას ყველაფერს ვერ გადავაბრალებთ.

განა მტკიცება უნდა იმას, რომ სურსათით დაცარიელებული დახლების პირობებში დანაშაულის ტოლფასია სახნავ-სათეს ფართობებსა და ხეხილის ბაღებში ესოდენ მწირი მოსავლის მიღება? ეფექტიანად რომ ვიყენებდეთ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებებს, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ასეთი სურათი ხომ არ გვექნებოდა?!

**— ამბობენ, მოსახლეობა საკარმიდამო მეურნეობაში იყენებს ისეთ საშიშ შხამებს, რომელთა ხმარება დიდი ხანია აკრძალულია. ვინ ახორციელებს კონტროლს, ვინ არის პასუხისმგებელი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებისათვის?**

— აქ პასუხი ერთია: ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პასუხისმგებლობა მთლიანად მიწათმოსარგებლეს ეკისრება და მანვე უნდა აგოს პასუხი ყველაფრისათვის. ამასთან, საყვედურის მისამართი, ძირითადად, ქალაქის გარშემო განლაგებული საბოსტნე და ბაღჩეული ნაკვეთებია, კერძო სათბურები. ყველაფერი პიროვნების პასუხისმგებლობაზე, მის ზნეობრივ მხარეზეა დამოკიდებული.

დიახ, ყველა ეტაპზეა საჭირო პროდუქციის ხარისხის კონტროლი. საზოგადოებრივ მეურნეობებში, პირველ ეტაპზე, ეს სამუშაო მოსავლის აღებამდე ნაკვეთებში უნდა დაიწყოს. მეორე ეტაპზე, კონტროლი დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, გადამამუშავებელმა საწარმოებმა და სავაჭრო ქსელმა უნდა განახორციელონ, ხოლო მესამე ეტაპზე, პროდუქციის ხარისხის კონტროლი სანეპიდსადგურს ევალება.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ მინერალური სასუქების გამოყენებაზე ერთბაშად და მოუმზადებლად ხელის აღება მეორე უკიდურესობაში ჩაგვაგდებს, რადგან მოსავლის მინიმუმსაც ვერ მოვიწევთ. ამ გზით არავინ წასულა, იქაც კი, სადაც პროდუქციის სიუხვეა.

დღევანდელ ეტაპზე, მინერალური სასუქების ზრდასთან ერთად, კიდევ უფრო იზრდება ორგანული სასუქების, როგორც საკვებ ნივთიერებათა წრებრუნვის ერთ-ერთი ძირითადი რგოლის, მნიშვნელობა. იგი მინერალური სასუქების მარგი ქმედების კოეფიციენტის გადიდების უებარი საშუალებაა. გადაუდებელ ამოცანად გვესახება ინტენსიური მუშაობა ორგანული და მწვანე სასუქების გამოყენების გადიდებისათვის. დიდი რესურსები გაგვაჩნია ტორფის სახით, რომლის წარმოება წლეულს 700 ათას ტონას მიაღწევს, ხოლო მომავალ ხუთწლედში — მილიონს. უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ორგანული სასუქების სხვა რესურსებიც. წლეულს რესპუბლიკაში პირველად დაიწყება ბიოჰუმუსის წარმოება, რომელსაც, პირველ რიგში, დახურულ გრუნტსა და მებოსტნეობაში გამოვიყენებთ.

ამას წინათ საქსახაგრომრეწვში გამართულ გაფართოებულ თათბირზე გადაწყდა, რომ ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებში შეიზღუდოს აზოტიანი სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება, შესწავლილ იქნას მცენარეთა მავნებელ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ალტერნატიული საშუალებები და გაგრძელდეს მეცნიერული კვლევა მცენარეთა ახალი გამძლე ჯიშების გამოსაყვანად.

**— დიდმასშტაბიანი ღონისძიებები მელიორაციის, მექანიზაციისა და ქიმიზაციის თვალსაზრისით სასურველ ეფექტს არ იძლევა. რესპუბლიკაში უგულებელყოფილია მიწათმოქმედების მამაპაპური კულტურა, მოუთმენლად მცირეა რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. რა გამოდის, მილიონობით მანეთი ხმარდება დარგების განვითარებას და არა მოსავლის ზრდას?**

— კითხვა მრავალპლანიანია და შევეცდები პასუხი გავცე. დავიწყოთ იმით, რომ საუკუნის გარიჟრაჟზე კაცობრიობას სამი მილიარდი ჰექტარი სახნავი ჰქონდა. დღეს კი ეს ფართობი თითქმის განახევრებულია. შირაქის შავმიწების გარდა,

საქართველოს ნიადაგები დაბალი ბუნებრივი ნაყოფიერებით ხასიათდება, ამიტომ მთელს რესპუბლიკაში რაიმე საგრძნობი მოსავლის მიღება სასუქების გამოუყენებლად შეუძლებელია.

მიწის მხოლოდ სამი პროცენტია გლეხის პირად სარგებლობაში და ის ქვეყანას აწვდის: კარტოფილის 60, ბოსტნეულის — 30, რძის — 27, ხორცის — 30 პროცენტს. ამას დავამატოთ საქართველოში თითქმის სანახევროდ მოწეული ხილი და ყურძენი. დასკვნა თავისით მოდის — მივცეთ გლეხს მიწა! ამასთან დავაკისროთ კონსტიტუციური პასუხისმგებლობა მის ნაყოფიერებაზე და მაშინ აღდგება მიწათმოქმედების მამაპაპური კულტურა, გაიზრდება მოსავლიანობა, რაც ესოდენ მწვავედ სჭირდება დღევანდელ და ხვალინდელ საქართველოს.

კმაყოფილებით აღვნიშნავ ფაქტს, რომ მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით წლეულს პირველად შეირჩა რამდენიმე საზოგადოებრივი მეურნეობა რესპუბლიკაში, რომლებშიც დამუშავდება და დაინერგება ახალი ტექნოლოგიები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის საწარმოებლად.

სოფლად საზრუნავს რა გამოლევს. რაოდენ დასანანია, რომ მრავალწლიანი ნარგავების მესამედს ადგილზევე ანადგურებენ მავნებლები და მცენარეთა დაავადებები. პესტიციდებზე მოთხოვნილება კი სანახევროდაც არ კმაყოფილდება, ვინაიდან გამოსაყენებლად დასაშვები 350 დასახელებიდან, ჩვენი მრეწველობა მხოლოდ მეხუთედს უშვებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პესტიციდების შემოტანასა და გამოყენებას.

ვიყოთ გულახდილნი — კაცობრიობა რეალური საფრთხის წინაშეა. პესტიციდების ნარჩენები ხვდება ადამიანის ორგანიზმში და საშიშროებას უქმნის მის ჯანმრთელობას. როგორც სპეციალისტი, ყოველ ნაბიჯზე ვაწყდები სავალალო სურათს: შხამქიმიკატებით გაჭუჭყიანებული ტრანსპორტი არ ირეცხება საამისოდ განკუთვნილ ადგილზე, რეგულირებული არ არის სარწყავი სისტემები და ქიმიით ჭუჭყიანდება მდინარეები. რესპუბლიკაში არ მუშაობს კანონი: ვინც ნიადაგში სასუქებს შეიტანს აგროქიმიურ უკარტოგრამებოდ და რეგლამენტის დარღვევით გამოიყენებს პესტიციდებს, ერის მტრად და მოღალატედ უნდა გამოცხადდეს!

**— თქვენ ისეთი უღიმღამო სურათი დაგვიხატეთ, რომ ადამიანს შიშის გრძნობა შეიპყრობს. რატომ ირღვევა პრინციპი: უმჯობესია მცირე და კარგი! დაბინძურებული პროდუქტი არც შესანახად ვარგა და არც მოსახმარად. ნუთუ ყოველივე ამის აღკვეთა არ შეიძლება?**

— შეიძლება და ამას უნდა მოხმარდეს ჩვენი ძალისხმევა. სავალალო ფაქტია: საკვებ პროდუქტებში ნიტრატების ზღვრული დასაშვები რაოდენობის განსაზღვრისას დღემდე ვსარგებლობდით საკავშირო ნორმებით, რაც ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია. დღეისათვის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ძალებით დამუშავებულია კვების პროდუქტებში ნიტრატების შემცველობის დასაშვები ნორმები ჩვენი მოსახლეობის კვების რაციონიდან გამომდინარე. იგი მკვეთრად განსხვავდება საკავშირო ნორმებისაგან. ეს უდიდესი საქმეა. ახლა მის ქმედითუნარიანობასა და მკაცრ კონტროლზე უნდა ვიფიქროთ.

საკოლმეურნეო ბაზრებში განლაგებულ ვეტსანიტარიული ექსპერტიზის ლაბორატორიებს ევალებათ შემოტანილი პროდუქციის შემოწმება ნიტრატების შემცველობაზე, რათა მომხმარებელმა არ შეიძინოს გაჭუჭყიანებული პროდუქტი. კატეგორიულად აკრძალულია. საკოლმეურნეო ბაზრის გვერდის ავლით ქუჩებსა და მოედნებზე ვაჭრობა, ვინაიდან პროდუქტი უმეტეს შემთხვევაში, შეუმოწმებელია. კონტროლი მილიციამ უნდა განახორციელოს. რესპუბლიკის გარედან შემოტანილ პროდუქტს უნდა ახლდეს სერთიფიკატი. ყველა შემოტანილი პროდუქტი უნდა შემოწმდეს და თუ ვინმე ამას თავს აარიდებს, აუცილებლად უნდა ისჯებოდეს.

**— ერთი კითხვაც: სად „ათენებენ ღამეს“ შხამქიმიკატები?**

— საწყობებში. ალბათ მათი მდგომარეობა გაინტერესებთ? ტიპური პროდუქტებით რესპუბლიკაში სანახევროდ გვაქვს სამყოფი შხამქიმიკატების საწყობები. სანიტარიული პასპორტი მხოლოდ მესამედზეა გაცემული. არ გვაქვს შხამქიმიკატების გადასაზიდი სპეციალური ტრანსპორტი. ყველგან როდია მოწყობილი მოედნები. რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში დაგროვილია უვარგისი შხამქიმიკატები, რაც გარემოს აჭუჭყიანებს. მიგვაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს ყველა შესანახი ფარდული და იგი უნდა შეეიდეს ცენტრალიზებული წესით რაიონული საბაზო საწყობიდან, რაც პრაქტიკულად განხორციელდება გაისიდან. მცენარეთა დამცველად აგროქიმიურ სამსახურში მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტები უნდა მუშაობდნენ.

როგორც ხედავთ, მრავალი პრობლემა დაგროვდა. დროა რესპუბლიკაში შეიქმნას აგროეკოლოგიური სამსახური, რომლის ეგიდითაც დამუშავდება სათანადო რეკომენდაციები დარგების მიხედვით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად. იგი განახორციელებს კვების პროდუქტების მკაცრ კონტროლს ყველა მაჩვენებელზე. მიმაჩნია, რომ აგროეკოლოგიის მაკონტროლებელი ორგანო უნდა დაექვემდებაროს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

**— და ბოლოს, რა პრაქტიკულ რჩევას მისცემდით ჩვენს დიასახლისებს?**

— მინდა ყველამ იცოდეს, რომ ნიტრატები ჭარბად გროვდება ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებში. ჩემი რჩევაა აღნიშნული პროდუქტები დიდხანს ვრეცხოთ გამდინარე წყალქვეშ, რათა ნიტრატების ნაწილი წყალს გავატანოთ. კიტრი, ჭარხალი, ნესვი და საზამთრო სქლად უნდა გავთალოთ, რადგან ნიტრატები ძირითადად კანშია დაგროვილი, ხოლო სტაფილოში, პამიდორსა და კომბოსტოში, პირიქით, გულშია განლაგებული. კარგი დიასახლისი მორჩენილ ნაწილებს წამოადუღებს და კერძში გამოიყენებს.

ნიტრატები თვალით უხილავი და შეუგრძნობელია, მის აღმოჩენას სათანადო მოწყობილობა სჭირდება. წარმოებას მიეცა დავალება წლეულს მასობრივი მოხმარებისათვის დაამზადოს მარტივი ტიპის შესამოწმებელი მოწყობილობა. იგი მოცულობით პატარაა. დიასახლისს ჩანთაში ექნება და ყოველ წუთს შეეძლება ბაზარში პროდუქტის ვარგისიანობის შემოწმება. იგი უნებლიედ საზოგადოებრივი კონტროლიორის როლშიც გამოვა, რაც გამყიდველსაც გამოაფხიზლებს.

როგორც ხედავთ, ამ საქმეშიც ცოტა დავაგვიანეთ, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ჩაიწერა **ქ. გოგიჩაშვილმა.**

**რედაქციის მინაწერი:**

## მხოლოდ დაპირებები

**კარგა ხანია საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს სოფლის მეურნეობაში. კარგა ხანია გავყვირით, რომ ვიწამლებით და ვიღუპებით.**

**ივსება საავადმყოფოები, გვეღუპება ბავშვები...**

**პრესაში გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ ჩვენს ქვეყანაში გამოუყენებელი დიდძალი ორგანული სასუქისაკენ სხვა ქვეყნებს უჭირავთ თვალი...**

**როგორ მოწმდება ქალაქის ირგვლივ გაშენებულ ბაღ-ბოსტნებსა და სათბურებში შხამქიმიკატებისა და პესტიციდების გამოყენების ნორმები?**

**რატომ ვერ მოგვიღწევია იმისათვის მაინც, რომ დიასახლისები მარაგდებოდნენ სერთიფიკატებით?**

**რატომ არა გვაქვს საწყობები შხამქიმიკატების შესანახად ან სპეციალური მანქანები მათ გადასაზიდად?**

**ესე იგი, რა უნდა გაკეთდეს კი არა (ამაზე საკმაოდ დაიწერა!) რა კეთდება პრაქტიკულად?**

# დაუვიწყარი ერთი წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უკვე სტუდენტები ვართ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

ლამაზად გვაგონდება განვლილი წელიწადი. ამერიკიდან მოსულ ყოველ წერილს ულევი სიხარული და ათასგვარი მოგონება მოაქვს. და, არა მარტო ამერიკიდან, წერილებს თითქმის ყველა კუთხიდან ვღებულობთ.

ყველაფერი კი გასული, 1989 წლის მაისში დაიწყო.

ჩვენ ათნი ვიყავით, თბილისის სხვადასხვა საშუალო სკოლის მოსწავლეები: ნათია მუზაშვილი, ქეთი ცქვიტარია, ნინო ფაჩულია, ნინო ცისკარიძე, სიკო ჯანაშია, კოტე ტრაპაიძე, ფარნა კახიძე, გიორგი ნოზაძე, ზაზა ბიბილაშვილი და მე.

სტუდენტთა და მოსწავლეთა სამეცნიერო პროგრამის „AFS"-ის მიწვევით, რომელსაც მიზნად დაუსახავს მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტუდენტთა და მოსწავლეთა დამეგობრება, ერთი წლით ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრეთ.

ძნელი იყო სამშობლოსთან და ნათესავ-მეგობრებთან განშორება, მაგრამ იმდენად დიდი იყო გამგზავრების სურვილიც, რომ ყოველგვარი დაბრკოლება დაგვაძლევინა და აი, 19 აგვისტოს ამერიკის საერთაშორისო კომპანიის სარეისო თვითმფრინავი „ბოინგი" ცაში აიჭრა. ათი საათის შემდეგ უკან მოვიტოვეთ ოკეანე და ნიუ-იორკის მიწაზე დავეშვით.

ნიუ-იორკში ჩვენს გარდა სხვებიც იყვნენ: გერმანელები, ბრაზილიელები, ეკვადორელები, ფრანგები... კონტაქტის დამყარება არ გაგვჭირვებია. ენობრივი ბარიერი ხელს არ გვიშლიდა. ძალიან მალე ვიპოვეთ მათთან საერთო და თავს შესანიშნავად ვგრძნობდით. ნიუ-იორკში გატარებული ერთი კვირის გვირგვინი, ალბათ, ის „ტალანტ შოუ" იყო, რომელზედაც „სულიკოსა" და სხვა ქართულ სიმღერებს ტაშს უკრავდნენ ჩვენი თანატოლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ჩვენდა საბედნიეროდ, კოტემ გიტარაზე დაკვრა იცოდა, ზაზას კი გერმანელ გოგონასთან ერთად ფლეიტაზე რამდენიმე ნაწარმოები მოემზადებინა.

დადგა განშორების დღეც, ალბათ, ყველაზე მწვავედ მაშინ ვიგრძენით, თუ რას ნიშნავდა ჩვენთვის საქართველო, რას ნიშნავდა თითოეული ქართველი...

მახსენდება ნიუ-იორკიდან გამგზავრების წინ თეთრად გათენებული ღამე, თრიშას ნამტირალევი სახე, სიმღერიდან ამოღებული ფრაზა, წამოსვლისას რომ მითხრა: „მაკოცე და გამიღიმეო", ჩვენი ხელმძღვანელის — ჯონის საფეთქლებზე დაბერილი ძარღვები და თრთოლვით გამოწვდილი ხელი, ქეთის და ნინოს აწყლიანებული თვალები, ნათიას დაძაბული სახე, ნინოს სიტყვები: „არ წახვიდე, არ დამტოვო", ის უამრავი ცრემლი, მეგობრებთან განშორებამ რომ გამოიწვია.

ჩვენ სხვადასხვა შტატებში მივემგზავრებოდით.

მე და სიკომ პირველებმა დავტოვეთ ნიუ-იორკი. ჩიკაგომდე ფარნასთან ერთად ვიმგზავრე, მერე გერმანელ სონიასთან და ეკვადორელ დიეგოსთან ერთად სოლთ ლეიქ სითიში გადავფრინდი. აეროპორტში ჩემი ოჯახის ცნობა სულაც არ გამჭირვებია, შორიდანვე შევნიშნე დიდი ტრანსპარანტი: „კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა ამერიკაში, თამარ". ჩემთვის საგანგებოდ ნაყიდი ყვავილებიც მომართვეს, მერე ჟურნალისტმა ინტერვიუ ჩამომართვა, ტელევიზიამაც გადამიღო და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცა საშუალება ჩემს ახალ სახლში წავსულიყავით.

სიითერების ოჯახმა საკუთარი ქალიშვილივით მიმიღო.

ჩემი დედობილ-მამობილი, სანდრა და დენისი, ძალიან თბილი ხალხი აღმოჩნდა. დამოკიდებულებაში ორივე ძალიან სადა და მეგობრული

იყო. მათი ქალიშვილი, თექვსმეტი წლის ანეთი, საკუთარ დასავით შემიყვარდა.

ოჯახს ადვილად შევეჩვიე. მეორე დღიდანვე თავი „მასპინძლად“ ვიგრძენი, სანდრა და დენისი იმდენად კარგად მექცეოდნენ, რომ ხანდახან მეგონა, მე უფრო ვუყვარდი, ვიდრე საკუთარი ქალიშვილი და ცოტა არ იყოს, უხერხულობაშიც ვვარდებოდი. მაგრამ, სულ მალე, ყველანაირი დაძაბულობა მოიხსნა.

უყურადღებოდ წუთითაც არ მტოვებდნენ. ჩემს გასაცნობად მოდიოდნენ მეზობლები, სანდრასა და დენისის ამხანაგები, ანეთის კლასელები, მეგობრები, ნაცნობები...

სწავლა 5 სექტემბერს დაიწყო. მეც ანეთის სკოლაში მიმიყვანეს. სკოლას „ალთა ჰაი“ ერქვა. იუტას შტატის უმაღლეს სკოლებს შორის ყველაზე დიდი იყო და განათლების დონითაც ყველა სხვა სკოლაზე მაღლა იდგა.

წესისამებრ, შვიდი საგანი ავირჩიე: ამერიკის ისტორია, ინგლისური ენა და ლიტერატურა, ესპანური, საბიზნესო კომპიუტერი, გაძლიერებული რუსული, ფერწერა და სპორტული თამაშობანი.

პირველი დღე ცოტა უჩვეულოდ დაიწყო. ჩვენი სკოლებისაგან განსხვავებით, ყველა გაკვეთილზე ბავშვების სხვადასხვა ჯგუფთან მიხდებოდა კლასში ყოფნა.

პირველივე დღეს უამრავი კითხვა დაბადა ჩემმა გამოჩენამ ამერიკელ თანატოლებსა და ჩემს პედაგოგებში. სამწუხარო ის იყო, რომ მათ არაფერი იცოდნენ საქართველოს შესახებ. ყველას რუსად მივაჩნდი და საბჭოთა კავშირსაც რუსეთს ეძახდნენ. თავიდან სკოლაში დავიწყე ლექციების კითხვა საქართველოზე: მის გეოგრაფიაზე, ისტორიაზე, კლიმატზე, ქართულ ტრადიციებზე... მერე ქრისტიანული ეკლესიის კლუბი დაინტერესდა საქართველოთი და რამდენჯერმე მთხოვეს მეამბნა ჩემს სამშობლოზე. ერთი კვირით მიწვეული ვიყავი ქ. ოგდენის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ლექციების ჩასატარებლად. საგანგებოდ გამართულ წვეულებებზეც ძალიან ხშირად მიხდებოდა საქართველოზე საუბარი. რა თქმა უნდა, ამას ყოველთვის დიდი სიამოვნებითა და სიხარულით ვაკეთებდი.

ჩემი ისტორიის მასწავლებელი, მისტერ კარლინგი იმდენად დაინტერესდა საქართველოთი, რომ ქართულის სწავლა გადაწყვიტა. ყოველ გაკვეთილზე რამდენიმე ქართულ სიტყვას მაწერინებდა დაფაზე. გულმოდგინედ და დიდი მონდომებით იმეორებდა ხოლმე მათ და მოსწავლეებსაც იგივეს თხოვდა. უდიდეს სიხარულს მგვრიდა დილით ჩემი კლასელები ქართულად რომ მესალმებოდნენ და ქართულადვე რომ მეკითხებოდნენ, როგორა ხარო.

ამერიკელი მასწავლებლები საოცრად თბილნი არიან. დამოკიდებულება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ძალიან უბრალო და მეგობრულია. მათ შორის არ არსებობს არც ოფიციალურობა, არც წლოვანების შეგრძნება, არც რაიმე კედელი, მაგრამ არის ურთიერთპატივისცემა, ურთიერთსიყვარული, მეგობრობა და ურთიერთგაგება.

გაკვეთილები ლექციების სახით ტარდებოდა. კვირაში ორჯერ გვიტარდებოდა წერითი გამოკითხვა, რომლის საფუძველზედაც ნიშნებს გვიწერდნენ. ჩვენი ნიშნებისგან განსხვავებით, ამერიკაში ასოები იწერება. ასე მაგალითად: „ა“ ნიშნავს უმაღლესს, შემდეგ მოდის „ა—“, „ბ+ (კარგი), „ბ“ „ბ—“ და ა. შ.

მასწავლებლები დიდ ყურადღებას მაქცევდნენ. ყველა მთავაზობდა დახმარებას საჭიროების შემთხვევაში. ყველა მზად იყო გაკვეთილების შემდეგაც დარჩენილიყო და დამხმარებოდა. არც „მშობლები“ მაკლებდნენ ამ მხრივ ყურადღებას. დაუზარებლად მთავაზობდნენ დახმარებას, თუ კი ამის საჭიროება მექნებოდა.

...საოცრად გულთბილი ხალხია ამერიკელები — გულთბილი, სტუმართმოყვარე და ძალიან მეგობრული. უყვართ მხიარულება და ამავე დროს დიდად აფასებენ შრომას.

ჩვეულებრივი ამერიკული დღე დილაადრიან იწყება. ექვს საათზე ოჯახის წევრები უკვე თავ-თავიანთ გზას ადგანან სამუშაოსკენ. 3-4 საათზე შინ ბრუნდებიან და დარჩენილ დროს თავიანთ ნებაზე ატარებენ, ათას საქმეს გამოძებნიან ხოლმე. სამუშაო დღეებში უფროსი თაობა გართობას არ ეტანება, შაბათკვირა კი დროის სატარებლად აქვთ განკუთვნილი. თავიანთ შვილებს ბავშვობის ასაკიდან აჩვევენ საქმიანობას. 12 წლის გოგო-ბიჭებს სწავლის პარალელურად, მუშაობასაც აწყებინებენ. 16 წლისას კი, თუ სამუშაო არ ექნა, მისთვისაც დიდი სირცხვილია და ოჯახისთვისაც. ძირითადად 16 წლის ასაკში იწყებენ ამერიკელები დამოუკიდებელ ცხოვრებას. გამომუშავებული ფულით ყიდულობენ მათთვის სასურველ ნივთებს. თავიანთივე ფულით უხდებათ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ყიდვაც. სამაგიეროდ, პატარაობიდანვე სწავლობენ შრომის ფასს.

მალე ჩაიარა ერთმა წელმა, მაგრამ ძალზე ბევრი მასწავლა ამერიკელ ხალხზე, მათ ცხოვრებაზე და ტრადიციებზე დაკვირვებამ.

დადგა ოჯახთან განშორების დღეც. იუტას და მონტანას შტატში მყოფი „AFS“-ელები სამშობლოში გამგზავრებამდე შვიდი დღით ადრე ერთად მივდიოდით სხვადასხვა შტატებში სამოგზაუროდ.

აეროპორტში მთელი ოჯახი მაცილებდა. მაცილებდნენ დიდი სიყვარულით, სინანულითა და ცრემლიანი თვალებით. ვტიროდი მეც. ჩემი დედობილის ბოლო თხოვნა იყო, მალე ჩამოდი, შენს ოთახს ხელუხლებელს დაგახვედრებთო. განსაკუთრებით ანეთთან განშორება გამიჭირდა. ჩვენ ხომ ურთმანეთოდ ყოფნა ვეღარ წარმოგვედგინა...

თვითმფრინავი კოლორადოს დედაქალაქ დენვერში ჩაფრინდა. იქიდან პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში გადავფრინდით. ფილადელფიაში ერთი დღე დავყავით, მერე ტრენტონში, ნიუ ჯერსის შტატის დედაქალაქში ჩაგვიყვანეს. ის ხუთი დღე, რომელიც ტრენტონში გავატარეთ, ყველაზე ლამაზად დამამახსოვრდა. ამავე დღეებში დავათვალიერეთ ნიუ-იორკი და მისი გარეუბნები, ნიუ ჯერსისა და ნიუ-იორკის შტატის სხვადასხვა ქალაქი.

დიდი სიყვარულითა და სევდანარევი სინანულით ვიხსენებ იმ „ტალანტ შოუს“, რომელზედაც სხვადასხვა ქვეყნის უცხოელი სტუდენტები ხელიხელჩაჭიდებულები და თვალცრემლიანები ვმღეროდი: „ჩვენ ვართ მსოფლიო, ჩვენ ვართ ბავშვები“. დამშვიდობებისას არა მარტო გოგონები, ბიჭებიც იცრემლებოდნენ.

სამშობლოში გამომგზავრების წინა დღეს ქართველი ათეული ისევ ნიუ-იორკის მიწაზე შევხვდით ერთმანეთს. ძალზე ამაღლებული იყო ჩვენი შეხვედრა ერთი წლის შემდეგ, ჩვენ ხომ სწორედ ამ ერთმა წელიწადმა დაგვაკავშირა, ერთ მუშტად შეგვკრა, სამუდამოდ დაგვამეგობრა...

ბედნიერების ზენიტი, მშობლებთან, ახლობლებთან, მეგობრებთან შეხვედრა, შეხვედრა ქართულ მიწაზე...

და მაინც მონატრება... ხელახალი შეხვედრის სურვილი.

**თამარ მაღრაძე,**
თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

**პრობლემა**

# ვინ გაგვცემს პასუხს?

სურსათის დეფიციტი ჩვენთან ჩვეულებრივი მოვლენა იყო... არავინ იცოდა (თუმც არც დღეს იცის) სად, ვის და რატომ მიჰქონდა მშრომელი კაცის ნაჯაფი, ამიტომაც პროდუქტების ყიდვას ისევ საკოლმეურნეო ბაზრებში ორმაგი თუ სამმაგი ფასის გადახდას ვამჯობინებდით. ეს კი ასევე ჩვეულებრივ მოვლენად ხდიდა ფასების ბუმს. მაშინ ამაზეც ვდუმდით. მერე, როცა მაღაზიები მთლად დაცარიელდა და მხოლოდ ბაზარზე დამოკიდებულნი აღმოვჩნდით, საზოგადოება სამართლიანად აღშფოთდა, მაგრამ რა... ბაზარს მყიდველი არ ელევა...

პატიოსანი ოჯახისათვის ნამდვილად ძნელია, ზოგჯერ შეუძლებელიც არის, შესწვდეს ამ კოლოსალურ ფასებს და თუ ასე გაგრძელდა, კაცი ძალაუნებურად იძულებული გახდება შემოსავლის სხვა გზები ეძიოს.

— რამ გამოიწვია საქონელზე ფასების ასეთი ზრდა, თქვენი აზრით, როგორ უნდა შეუთავსდეს იგი ოჯახის ბიუჯეტს? — ამ კითხვით მივმართეთ ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორს ლაერტი ზუბადალაშვილს.

— ფასების ზრდა ჩემზე როდია დამოკიდებული, და თუ მაინც და მაინც გაინტერესებთ, აგრომრეწვში მიბრძანდით! — პროდუქტზე არანორმალური ფასის დადების გამო ზოგიერთი გამყიდველი საერთოდაც დავითხოვე ბაზრის ტერიტორიიდან. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამან მყიდველთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გლეხს თავის ნაშრომზე კონკრეტულ ფასს სხვა ვერავინ დაუდებს. ასე რომ, მე არაფრით შემიძლია დაგეხმაროთ...

— მაღაზიაში ყიდულობთ რამეს?

— მარილს...

— თქვენი ხელფასი თუ უძლებს ბაზრის ფასებს?

— რა თქმა უნდა, არა, მამა მეხმარება...

— ?..

შვილიშვილების პატრონ კაცს, ალბათ, კარგა გვარიანად ეხმარება მამა, რაკი რესტორანშიც მიგვიპატიჟა და არც ჩვენი ხელცარიელი გამოშვება სურდა ბაზრიდან.

ჩვენს შეკითხვას კი რა ყურადღებითა და პასუხისმგებლობით უპასუხა, ეს თქვენც ნახეთ.

ბაზრის სტუმრები მეტწილად ქალები არიან, რადგან ისინი უფრო მომჭირნედ ანაწილებენ ოჯახის ბიუჯეტს.

— ქალბატონო, ყველაფერი შეიძინეთ, რაც გინდოდათ?

— არა, შვილო, რაც ოჯახში გვჭირდება, სულ რომ ვიყიდო, სამი თვის პენსია არ მეყოფა...

— ბაზრის ფასების გაზრდაზე რა აზრის ბრძანდებით?

— წახდა ქვეყანა, როდის იყო ერთი კილოგრამი ნიგოზი ოცდათხუთმეტი მანეთი ღირდა? რა გვეშველება არ ვიცი...

— მაპატიეთ, ქალბატონო, რა ფასად იყიდეთ ხორცი?

— სამი კილოგრამი ორმოცდახუთ მანეთად.

— ძვირი არ არის?

— ძვირი კია, მაგრამ სამი პატარა მყავს და დასხივებული ხორცის ყიდვას (ესეც აღარ არის ახლა), მირჩევნია ძვირად ვიყიდო.

— გმადლობთ...

— ქალბატონო, კმაყოფილი ხართ დღევანდელი ბაზრობით?

— არა, გენაცვალე, ჩვენი შემოსავლით ვერ ვახერხებ ბაზრიდან კმაყოფილი წასვლას...

— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება, ბაზრის ფასები სტაბილური გახდეს?

— როგორ, არ ვიცი, და რაღაც რომ უნდა შეიცვალოს — აშკარაა, ასე ეკონომიკურ კატასტროფამდე მივალთ...

სამწუხაროდ, ეკონომიკურ კატასტროფამდე ერთი ნაბიჯიც აღარ დაგვრჩა... საქმის გამოსწორება კი ისევ და ისევ ჩვენვე უნდა ვიკისროთ, თორემ სხვისი ჭირიო, ხომ გაგიგონიათ, არავინ მოიცლის ჩვენთვის და რომც მოიცალოს, მაინც ვერაფრით დაგვეხმარება. ალბათ, ისევ სათავისოდ გადაწყვეტს...

გლეხკაცს რომ ჰკითხო, რატომ ჰყიდი პროდუქტს ასე ძვირადო, დაკოჟრილ ნაჯაფ ხელებს გამოგიწვდის და აქეთ გაგაწითლებს. მისი შრომის გაუფასურებას, ცხადია, არავინ ცდილობს, მაგრამ მოდით, არც ისე დიდი ხნის წარსულსაც გადავხედოთ.

წინა წლებთან შედარებით ბაზრის ფასები ერთი-ორად გაიზარდა. გაძვირება კი კანონზომიერად უნდა იყოს დამოკიდებული დატვირთვის ზრდასთან. საინტერესოა, ორი-სამი წლის წინ უფრო ნაკლებს მუშაობდა გლეხი სიმინდის, ლობიოს თუ სხვა კულტურების მოყვანაზე ვიდრე ახლა?

— რა ღირს ერთი კილოგრამი ხბოს ხორცი?

— ოცი მანეთი.

— ძროხის?

— თხუთმეტი.

— ნაკლებად არა?

— არა.

— რატომ?

— ყველა ასე ჰყიდის, აბა ნახე — თუ ვინმე დაგიკლებს, მეც დაგიკლებ...

— დიდი მადლობა, მაგრამ რატომ ყიდით ასე ძვირად?

— ჩვენ რა შუაში ვართ, თვითონ სახელმწიფომ გაზარდა ფასები და ჩვენ უფრო იაფად ხომ არ გავყიდით?

— ლობიო რა ღირს?

— რვა მანეთი. არ იცი მუშაობა რა არის და იმიტომ ლაპარაკობ ამდენს, აბა ჩემთან წამოდი, ერთი დღე თოხნე ლობიო და რასაც დაამუშავებ, უსასყიდლოდ გამოგატან.

— ჩემს შეკითხვაზე არ მიპასუხეთ...

— რა უნდა გიპასუხო, ჩემი მეუღლე ასაკით შენი ტოლი იქნება, მაგრამ ორმოცი წლის ქალი გეგონება... ამდენი შრომით ლამის არის წელში გავწყდეთ და ძვირად რატომ ყიდითო...

— გმადლობთ, მაპატიეთ...

მართლაც უდიდესი შრომა იხარჯება პროდუქტების დამზადებისა და მოყვანისათვის, მაგრამ, დღეს, როცა ასე უჭირს ქვეყანას, ხომ შეიძლება მინიმუმამდე თუ არ დავიყვანოთ, შესამჩნევად მაინც შევამციროთ ფასები და ნორმალური პირობები შევქმნათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად. დაუსრულებელი საბაზრო ფასების ზრდა სანამდე მიგვიყვანს?

ლალი ზირაქიშვილი

# მოხუცთა სახლი

საქართველოში მოხუცთა და ინვალიდთა პანსიონატები 1672 ადგილზეა დაგეგმილი, ამჟამად პანსიონატებში ცხოვრობს 1167 კაცი.

შენდება პანსიონატი 210 ადგილზე დუშეთის რაიონში და ომისა და შრომის ვეტერანთა პანსიონატი 175 ადგილზე ბობოყვათში.

როგორც ხედავთ, იზრდება მარტოხელა, შრომისუუნარო მოხუცთა რიცხვი და, როგორც ამბობენ, მომავლისათვის უფრო ფართო სამსახური უნდა შეიქმნას მათი სოციალური უზრუნველყოფისათვის.

## ვილას ახსოვს „საუფროსო შკამი"

ტრადიციულად ქართული ოჯახი რამდენიმე თაობისაგან შედგებოდა. მისი არც ერთი წევრი არ რჩებოდა უფუნქციოდ. ბებიასა და პაპას ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეჭირათ დიდ ქართულ ოჯახში.

ეს ტრადიცია დღემდე შემორჩა, განსაკუთრებით აჭარაში, სადაც ხანდაზმულები ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ.

ადრე ასაკოვანი ადამიანი ოჯახში წინამომძღვარე ანუ სახლობის მეთაური ყოფილა. მისთვის ბუხართან ახლოს, სეჭვზე ყოფილა საგანგებო საუფროსო ადგილი. იქ მისი არყოფნის დროსაც არავის ჰქონია დაჯდომის უფლება.

დიდი ოჯახის თანდანობით დაშლასთან ერთად მოიშალა ოჯახის წევრთა ასაკობრივი დიფერენციაცია.

ახლა ოჯახის უფროსს, ზოგჯერ, საერთოდ აღარ არგუნებენ ადგილს საკუთარ კერაზე. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევა იშვიათია პენსიონერთა პანსიონატში, მაგრამ, ჩემი აზრით, დიდი ოჯახების დანაწევრება ბევრად განსაზღვრავს მარტოდ დარჩენილ ადამიანთა ტრაგიკულ ბედს.

„შვილთაგან დედის პატივისცემა აჭარაში სწორედ რომ სამაგალითოა,... დედა იმისათვის სათაყვანებელი არსებაა, რომელსაც ყოველისფერს ანაცვალებს", — წერდა გაზეთი „ივერია" 1899 წელს.

და დღეს უდიდესი ტკივილია, არა მხოლოდ იმ ერთი ადამიანისათვის, როცა მარტოხელა მოხუცთა პანსიონატის კართოტეკაში შეხვდებით ჩანაწერს: ჰყავს შვილი...

## „დუშმანიც დაბერებულა"

სამწუხაროდ, აჭარაშიც შეხვდებით „საუფროსი შკამის" გარეშე დარჩენილ შრომისუუნარო მოხუცებს. მათთვის შეიქმნა პანსიონატი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიაში. საკმაოდ მოძველებულა შენობა. მალე აქ ახალი კორპუსიც გაჩნდება, ერთი ან ორ ადგილიანი ოთახებით, სამზარეულოთი, კლუბით, სპეციალურად შრომითი საქმიანობისათვის განკუთვნილი ოთახებით.

ალბათ, ეს სახლი ერთადერთია, რომლის დასრულებასაც სიხარულით არ ელიან მომავალი მობინადრენი. აქ ხომ იმ კატეგორიის ხალხი არ ცხოვრობს, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება რომ ადარდებდეს.

საზოგადოება თავის ვალად თვლის შეუმსუბუქოს მათ ცხოვრება, მაგრამ უმთავრესი ავიწყდება ან გამორჩება ხოლმე უბრალო, ადამიანური ურთიერთობის პრობლემები. არადა, საკუთარი საცხოვრებლის მოწყობა მათ ნაკლებად აინტერესებთ.

აქ ადამიანების გარდა არაფერი მიიქცევს თქვენს ყურადღებას, არც მოძველებული ავეჯი, არც სულ ოდნავი შმორის სუნი, არც მოუხერხებელი აბანო. ეს ყველაფერი ხომ ჩვენთვის ნაცნობია, ჩვენი ყოფის დეტალებია. ყველაფერი მოუწყობელია, მაგრამ სუფთაა.

იმ დღეს, მათთან სტუმრად რომ ვიყავი, ახალი ბოსტნეული მოიტანეს და სამზარეულოში გადმოტვირთეს. სწორედ მაშინ შევამჩნიე მოხუცი ქალის გადაღლილი სახე, რამდენჯერმე რომ გაიმეორა: მანის ფაფა მაინც შეგვიცვალონ, მანის ფაფა მაინც შეგვიცვალონ!

ეს სიტყვები კარგა ხანს ჩამრჩა მეხსიერებაში. საოცარი ის იყო, რომ თითქოს რაღაც ჩვეულ, კარგად ნაცნობ სიტყვებს მახსენებდნენ...

## მოხუცი და ზღვა

...ბედნიერება ის არის, როცა ცხელ სადილს მოგიტანენ, არც ფეხზე გცივა, მზის მხარეს აივანზეც შეგიძლია სკამზე ინებივრო.

ბედნიერებაა, როცა ხეების შრიალი გესმის და იცი, იქვე ზღვაც არის მშვიდი. ოღონდ აუცილებლად მშვიდი.

მოხუცი ვარ და თანდათან იცვლება ჩემს გარშემო ყველაფერი, ოდნავი ტკივილით მტოვებენ საგნები. იცლება, იცლება... ყველაფერს მოგონებები ავსებს...

პანსიონატში მცხოვრებთათვის გვერდით მყოფი ადამიანი არაფერს ნიშნავს. არ მეგონა, თუ ერთ ბედქვეშ მყოფ ხალხს ერთმანეთისაგან ასე შორს ყოფნის არ შეეშინდებოდათ. ერთმა მითხრა, სიკვდილს თვალებში ვუცქერი, სულ ვიმეორებ სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანიო.

როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა?

არ მესმის, რას მეკითხებით. როგორ შეიძლება ადამიანმა მიზნად დაისახოს, ასე უნდა მოვიწყო ცხოვრებაო. ვინც ამას აკეთებს და არ გაუმართლებს, უიმედო მდგომარეობაში ვარდება.

ნუთუ არავინ არის თქვენს გვერდით?

სრულებით არაფერს ნიშნავს არც ერთი მათგანი ჩემთვის. ყველა ჩემისთანა გაჭირვებულია.

აქაურობას როგორ ეგუებით?

რა უნდა ქნა, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო.

როგორი ნაცნობი განწყობილებაა, განა ასეთი უმწეო არა ვართ, როცა გული შეგვეტკივა, დახმარება გვინდა და ბევრი არაფერი შეგვიძლია. ხშირად ელემენტარული პირობების შექმნასაც დიდი ბრძოლა სჭირდება.

## თქვენ გემსახურებათ სოცუზრუნველყოფის განყოფილება?

არც ბათუმში, არც თბილისში სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მუშაკებს სხვებზე ნაკლებ არ აწუხებთ უმწეო ადამიანთა მდგომარეობა. მათთვისაც ძნელი ასატანია, როცა ხედავენ, როგორ გადიან ყოველდღიურად მოხუცები ორმოცდაათ მეტრს ძირითადი კორპუსიდან საპირფარეშომდე.

სოცუზრუნველყოფის სამინისტრო საბიუჯეტო ორგანიზაციაა, ყველა მომსახურებისათვის სახელმწიფო ნორმები აქვს დაწესებული.

პენსიონერთა ყოველდღიური კვებისათვის გათვალისწინებულია მანეთი და

სამი აბაზი. დღევანდელი ფასების მიხედვით კი ეს ნორმა ორ მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამინისტროში საკითხი უკვე დაყენებულია განსახილველად.

ახლა სხვა უამრავი წვრილმანი საკითხიც ვნახოთ: სკამებით, ნათურებით, სარეცხი საშუალებებითა და აუცილებელი საგნებით მომარაგება. რომელ იდეალურ პირობებზეა ლაპარაკი, როცა ასეთი ნივთების შოვნაც უდიდეს პრობლემად გადაიქცევა ხოლმე.

დღეისათვის პანსიონატები, როგორც ჩანს, არ არის ყველაზე ეფექტიანი საშუალება მოხუცთა და ინვალიდთა სოციალური უზრუნველყოფის საქმეში.

მარტოხელა ადამიანები ხშირად თავს არიდებენ მოხუცებულთა სახლში ცხოვრებას და სრულიად უმეთვალყურეოდ რჩებიან ხოლმე. ჩვენ არ შევუდგებით იმის განსჯას, რამდენად გონივრულია მათი ასეთი მოქმედება. ფაქტია, რომ გვყავს ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.

ასეთი მოხუცებისა და ინვალიდებისათვის არსებობს ბინაზე მომსახურება. ეს ფორმა დღეისათვის უფრო მომგებიანია, სახელმწიფოს შედარებით იაფი უჯდება.

აჭარის სოციალური მომსახურების განყოფილებამ წლეულს სამინისტროს წინაშე დააყენა საკითხი მომსახურე პერსონალის შტატების მომატების შესახებ.

ამჟამად ზუსტდება იმ მარტოხელების რიცხვი, რომელნიც აჭარის სოფლებში ცხოვრობენ და დახმარება სჭირდებათ.

ყოველ ოთხ დაუძლურებულ ადამიანს მიუჩენენ ერთ მომსახურე პერსონალს. მომავლისათვის გათვალისწინებულია ტერიტორიული ცენტრების შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა სახის სამსახურს, სამედიცინო მომსახურება იქნება თუ კულტურული გართობა.

## „ვინაიდან არღარა იყო ზრუნვა სულიერი“

...აი, სწორედ ის უმთავრესი, რაც უსამართლოდ მიგვიცია დავიწყებისათვის.

ამ ადამიანებს რწმენა არა აქვთ, მომავლის რწმენა, ერთმანეთის სიყვარული, სათნოება.

აქ არ იგრძნობა ზრუნვა სულისათვის.

აივნებზე გამოფენილი მოხუცების თვალებში სრული უიმედობაა. მათ მხოლოდ წარსულთან აქვთ კავშირი. ზოგისთვის ეს კავშირი მხოლოდ ფიქრებია, ზოგისთვის გაცრეცილი, ოდესღაც ლამაზი კაბა...

მათ არავინ ელის. ადამიანის არსებობა უადამიანოდ ხომ წარმოუდგენელია... ჩვენ ხომ რწმენა და სიყვარული უნდა გვაერთიანებდეს. არ უნდა გამოიფიტოს და გაცივდეს არც ერთი ადამიანის გული...

ამ მოხუცებისა და ინვალიდთა გულებიც უფლის მოწყალების იმედით უნდა აღივსოს.

ლელა ტაბიძე







ეროვნული ბიბლიოთეკა

ასმათ დავითიშვილი

# შემოდგომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ შემოდგომას მხრები უკვე გაეშალა.

ღმერთო, როგორი ამინდია, რა ფერები!

ცა როგორია...

ელას ეგონა, თითქოს მოლივლივე ტალღებზე გულაღმა იწვა, თითქოს მაღლა-მაღლა მიიწევდა, თითქოს უჩვეულო რამ ტკბილი ნექტარით გაბრუებული, ბედნიერების სამყაროს უახლოვდებოდა.

რა ფერები..., როგორი ცა...

მკრთალი...

მაღალი იყო, გამხდარი. ახლაც, როგორც ყოველთვის, გემოვნებით და ძალზე გამორჩეულად ეცვა. თუმც, მარტო ამით არ იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას. მის იერსა და, საერთოდ, მთელ მის არსებაში უცნაური მომხიბვლელობა თუ განუზომელი ზემოქმედების ძალა, უძველეს ფრესკათა სინატიფე იყო ჩაქსოვილი.

არაფერზე ფიქრობდა.

ნელა მიდიოდა.

ათას სხვა რამ მშვენებასა და სილამაზესთან ერთად ელას საოცრად უყვარდა რუსთაველის გამზირზე ასე სიარული, საყვარელი ქალაქისა და ქალაქელების ჭვრეტა.

მკრთალი ცა...

მოულოდნელად მუხლები მოეკვეთა და თავბრუ დაეხვა.

ხომ იცოდა, რომ იმედი გადაწურული იყო, და სწორედ იმ ვაჟმა, რომელმაც ასე ცხადლივ წარმოუსახა მერაბი, ხელი მზრუნველად მოჰკიდა და ასევე მზრუნველად ჰკითხა:

— ცუდად ხომ არ ბრძანდებით? სასწრაფოს დავუძახოთ?

ელა გრძნობდა, როგორ უთრთოდა სხეული. მართლა იყო ცუდად, მაგრამ თავს ძალა დაატანა და შეეცადა მისი ხელი ჩამოეცილებინა.

— არაფერია, ახლავე გამივლის... — თქვა მან წყნარად. მერე უნებლიეთ მიმოიხედა—გამვლელთა ცნობისმოყვარეობით აღსავსე მზერა! სწორედ ამან უშველა გონს საბოლოოდ მოსულიყო. აღარაფერი უთქვამს და ოდნავი აჩქარებით წავიდა.

ფერები შეიცვალა? ამინდი? თუ მის შინაგან სამყაროში მოხდა რაღაც გარდატეხა?

ელას გაახსენდა, რომ სამსახურში უნდა გაევლო. საქმე არაფერი ჰქონდა, მაგრამ ვალდებული იყო, ვიდრე მყარ მდგომარეობას მიაღწევდა, მრავალთაგან განსხვავებით ყოველდღე გამოცხადებულიყო. არა და ამ მყარი მდგომარეობისთვის ვერა და ვერ მიეღწია.

...მერაბი პირველად შარშან ზაფხულში ნახა თავისი მეგობრის ოჯახში. დიასახლისის ნათესავი იყო. ორიოდ საათით შემოიარა და თან მოჰყვა მთების სილაღე, ველურ ყვავილთა მათრობელა სურნელება, თავისუფალ ცხოვრებასთან წილნაყარი პიროვნების სიძლიერე და სიამაყე. მერაბი ლაპარაკობდა კიდეც, იცინოდა კიდეც, ხუმრობდა კიდეც, მაგრამ ელა გრძნობდა, რომ იგი მათთან არ იყო... ყველასგან ასეთი განსხვავებული... განა რა იყო მოულოდნელი, ერთის ნახვით რომ შეუყვარდა. იმავე წამს, როგორც კი დაინახა... როგორი იყო... ოდნავ ხვეული ღია ფერის თმა, ლამაზი, სწორი, საოცრად თეთრი კბილები, ვაჟკაცური იერი. მთების სილაღე, ველურ ყვავილთა მათრობელა სურნელება... ვის შეეძლო შეემჩნია, რა დაემართა ელას — გარეგნულად ხომ ყველაფერი ჩვეულებრივად იყო... არავითარი იმედი კი არ ჰქონდა. თავიდანვე იცოდა! არავითარი იმედი — ხნოვანებაც, ოჯახიც, ისიც, რომ თავის სამყაროში აღარავის შეუშვებდა... ვინ იცის, იქნებ შეეშვა კიდეც, გაეღო კარი თავისი სამლოცველოსი, იქნებ ერთი ასეთი შეხვედრა, კიდევ ერთი სრულიად შემთხვევითი შეხვედრა. იქნებ თვითონ ელას გამოენახა შეხვედრისა თუ დაახლოების სხვა რამ საშუალება... მაგრამ საშინელი დასასრული! საშინელი კი იყო? ალბათ? ფეხი კი არ დაუცდა, უფსკრულში კი არ ჩავარდა — მისი სხეული მარადისობისკენ მიექანებოდა, საზარელი რამ ფიქრები თუ განცდები კი არ უკარგავდა გონს, საშინელი ტკივილი კი არ სერავდა მის სხეულს... მიჰქროდა... მიჰქროდა... მიჰქროდა...

ეს ზაფხულში მოხდა!

მერე შემოდგომა, მერე ზამთარი... მერე ჟამთა ბრუნვა... ისევ ზაფხული. ისევ შემოდგომა.

ტკივილი იყო ყრუ, როგორც მას ეგონა—მუდმივი. დრო კი შველოდა — ყრუ ტკივილი თითქოს სიმძაფრეს კარგავდა, მუდმივობაში შუალედებიც გამონათდა, დროის ნაცარმაც თითქოს გაანელა ტკივილი. თუმცა საკმაო იყო ვინმე ენახა, მერაბს რომ რიღაცით ჩამოჰგავდა, ან კიდევ სიტყვა რამ, ფიქრთა მონაცვლეობა... და ყველაფერი განახლდებოდა ხოლმე...

კიბეზე ნელა ადიოდა. შენობა ძველებური იყო. საამო სიგრილე სუფევდა განიერ, ლამაზ სადარბაზოში. ოთახები, მათ რომ ეკავათ, ელას მუდმივად აღიზიანებდა. რამდენჯერ უფიქრია, რა იყო უწინ ამ შენობაში, რა ვნებანი, რა ცხოვრება ავსებდა მაღალჭერიან განიერ ოთახებს, სადაც ახლა მოუხერხებელი დროისა და ჭუჭყისგან ჩაშავებული საწერი მაგიდები იდგა და სადაც მუდმივად უსიამოვნო მომჟავო სუნი იყო გამეფებული. იქნებ, სწორედ ეს სუნი აღიზიანებდა. საოცარია, ფანჯრები თითქმის მუდმივად ღია იყო, ოთახები კი ვერა და ვერ გაანიავეს.

დირექტორის მოადგილის კაბინეტის წინ გავლისას განცვიფრდა. იგი თითქმის სავსე იყო. რამდენი ხანია ამდენი თანამშრომელი ერთად არ ენახა. კაბინეტი პაპიროსის კვამლს დაებურა. ცხარედ კამათობდნენ!

— სუვერენიტეტი...

— მენშევიკები...

— ლენინის კონცეფცია სახელმწიფოს შექმნის თაობაზე...

— არაფორმალები...

— რასა ბრძანებ, ავღანეთი...

— ეკონომიური მდგომარეობა...

— იცით, კერძო საკუთრების ელემენტები...

— რევოლუცია განვითარებულ სახელმწიფოში...

— რევოლუცია განუვითარებელ სახელმწიფოში...

— ოცდაერთი წელი... თვრამეტი წელი...

— ორჯონიკიძე...

— კონსტიტუციის თანახმად....

— პლურალიზმი...

— კულტი... ხრუშჩოვი... ბრეჟნევი... პლურალიზმი... კონსტიტუ-

ციის თანახმად... ორჯონიკიძე... თვრამეტი წელი... ოცდაერთი წელი...

მოეჩვენა თუ მოკამათეთა შორის განყოფილების გამგის ხმა მართლა ისმოდა? ყური მიუგდო. ღმერთო მაღალო! მოსულა. თანაც თავი დაუმცირებია და თანამშრომლებთან კამათობს! მისი განყოფილების გამგე უკვე ცნობილი მეცნიერი მუშაკი იყო. თუმც ყველამ იცოდა, რომ მისი მეცნიერული კონცეფციები უფრო მეტად სხვათა მოსაზრებების ეფექტურ გამოყენებასა და ოსტატურ გადმოკეთებაზე იყო აგებული. ახლა რა ცხოვრებისეული ნიჭით დაეჯილდოებინა განგებას — ამბობენ, სადაცაა თავისი კანდიდატურა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობაზე უნდა წარადგინოსო. რამდენადაც ელა გაერკვა, ინსტიტუტის თანამშრომელთა თითქმის ნახევარი მისი განსაკუთრებული მზრუნველობით იყო მოწყობილი — ზოგი დაფინანსებით, ზოგი პროტექციით, უპატრონონი — ნატურაანაზღაურებით. ელა უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც ხელშეკრულებით მუშაობდა და ამ ხნის განმავლობაში გასაღები ვერა და ვერ მოეძებნა. მისგან არც ფულს ილებდა, არც საკმაოდ გავლენიანი პირების დარეკვას ითვალისწინებდა. ელას მიერ მაღალ დონეზე შესრულებულ პატარ-პატარა მეცნიერული ხასიათის სტატიებს ხომ არად აგდებდა. საოცარი ის იყო, რომ მასთან იშვიათი საქმიანი საუბრისას მტრულ განწყობას ვერ ამჩნევდა. ელას ალბათ შეეძლო სხვა რამ გზა მოეძებნა — მინიმუმი გაეფორმებინა. თუნდაც უნივერსიტეტში. თემა უკვე შერჩეული ჰქონდა, რაღაც-რაღაცეებიც უკვე გაიაზრა, მაგრამ გულის კუნჭულში იმედი კიაფობდა. იქნებ შტატში ამიყვანონო.

როგორც ყოველთვის ოთახში არავინ დახვდა — უსაშველოდ გაბერილი შტატის მეათედიც კი მოვალეობას არად აგდებდა და სამსახურში სურვილისამებრ ცხადდებოდა. უმეტესობა მაღალი ეშელონის წარმომადგენელთა ნათესავ-ნაცნობები იყო და მათ შორის თითო-ოროლა თუ გამოერეოდა ნამდვილად ნიჭიერი, სერიოზულად მომუშავე.

ელა ერთხანს ხუთ თანამშრომელთან საზიარო მაგიდასთან იდგა, მერე უჯრა გამოსწია, ქაღალდები უგულოდ გადაათვალიერა, ისევ უჯრაში ჩააწყო და გამოვიდა. დირექტორის კაბინეტის წინ გავლისას შეამჩნია, რომ კამათი სულს ღაფავდა.

— სუვერენიტეტი...

— კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები...

გარეთ ისევ შემოდგომა... ისევ... რა ფერები!

გადაწყვიტა, ფილარმონიამდე ფეხით მისულიყო.

აფთიაქთან მაია და ლიკა შეხვდნენ. მზერა დემონსტრატიულად მოარიდეს და მდუმარედ ჩაუარეს.

აი, გაჩერებაც. იღბლად, ექვსი ნომერი ტროლეიბუსი მოვიდა.

რაღაც მძიმე დღე იყო დღეს. უთავბოლო. თითქოს მოუგვარებელი, გამაღიზიანებელი. მერე გაიფიქრა: რატომ—იყო! დღე ხომ ჯერ არ დამთავრებულა.

შინ არავინ დახვდა. ალბათ, დედა ბაზარშია, მამა — სამსახურში. საათს შეხედა — ოთხი სრულდებოდა. მერე რატომღაც ოთახები მოიარა. რას ნიშნავს, ბექა და თორნიკე რომ არ არიან. ეთომ ბინა მიიღო, პატარები თან წაიყვანა და ოთახებიც დაცარიელდა.

ისევ თავის მყუდრო სამყოფელში გავიდა. ლამაზი კარადები. ზედა თაროებზე რუსული კლასიკა, შუაში — ქართული, მერე სხვა საყვარელი მწერლები. ღრმა მოხერხებული სავარძლები, დივანი, დაბალი მაგიდა, კედელზე მოქარგულ-დამშვენებული ხევსურული კაბა, სურათები, ათასი რამ სამშვენისები, ლამაზი ნივთები, იატაკზე — ნოხი. იქვე კარადასთან ჩაჯდა. რამდენი ხანია, წიგნების დალაგება უნდოდა. გადაწყვიტა, დაბლიდან დაეწყო. შუშები გასწია. ლამაზად ჩამწკრივებული ტვენის ტომეულებზე პატარ-პატარა წიგნები — სენდბერგი, ჰაიამი ნუვაი, ტაკამი, მისი სათაყვანებელი ტაკუბოკუ, მერე ისევ პატარა წიგნი. თხელ გარეკანზე მაგიდის მსგავსი რამ იყო დახატული. მაგიდაზე ძველბერძნული ქანდაკება. უნატიფეს პროფილში საოცარი ტანჯვა თუ სასოწარკვეთა იყო ჩაქსოვილი. თავთან უსაშველოდ დიდი ყორანი, უსაშველოდ დიდი ნისკარტითა და უსაშველოდ დიდი ფრთებით. პირველად, სულ პირველად თაბუ-



კაშვილისეული თარგმანით გაეცნო პოს პოეზიას. ეს იყო „ზარი“. ახლაც ახსოვს უცნაური განცდა, ლექსის კითხვისას რომ დაეუფლა. რამდენი ხანია ეს წიგნი იყიდა. ალბათ, კარგი თარგმანია, მაგრამ პირველად ქართულად წაიკითხა და იცოდა, ახლა ისე არ მოეწონებოდა. მაინც გადაფურცლა. „ულალუმი“, „სერენადა“, „ზარი“... „ზარს“ არ წაიკითხავს და შთაბეჭდილებაც ახალი იქნება, ქართულად წაკითხულისგან სრულიად განსხვავებული. „ყორანი“... კალმისტარი და ქაღალდი იქვე იდო, თორემ წამოდგომა რომ დასჭირვებოდა, ალბათ ის ძაფიც გაწყდებოდა და ის აზრიც გაუსხლტებოდა, მოულოდნელად რომ გაიბა ლექსსა და მას შორის.

შუაღამისას, მწუხარე ჟამს, როცა ვეძებდი
ნაოცნებარის ჩემის ახსნას, ულრან ტყეებში,
ფილოსოფია რომ უწოდეს ოდესღაც კაცთა.
არა, ბოლო სულ სხვანაირად.. ასე არა...
ფილოსოფიის ულრან ტევრში როცა ვეძებდი...

ერთ წამს დაფიქრდა. მერე გადაიკითხა, ლექსს შეუდარა. ისევ თავიდან დაიწყო.

ფილოსოფიის უვალ გზებზე რომ დავეძებდი
ნაოცნებარის ჩემის ახსნას შუაღამისას,
ამაო შრომით რომ მიმელო ქანცი სრულიად,
და თვლემა უკვე სიზმარეთში მიმაქანებდა,
უცბად ვიღაცამ უხმაუროდ დააკაკუნა.
„სტუმარი თუა, — ჰო, ახლავე, ბატონო ჩემო —
კი, სტუმარია, უეჭველად,
სხვა ვინ იქნება!"

საოცარია, არასოდეს არაფერი უთარგმნია, არც სურვილი ჰქონია, ლექსებს კი წერდა, პატარა მოთხრობებსაც, ისე, თავისთვის. ახლა კი, სრულიად მოულოდნელად, თანაც ორიგინალიდან კი არა, რუსულიდან თარგმნიდა. რა თავისუფლად მიდიოდა. ალბათ იმიტომ, რომ პო ძალიან უყვარდა.

სავსე დეკემბრის სუსხითა და ნისლის სიცივით
სამარადჟამოდ ალებეჭდა გონებას ღამე...

გადაიკითხა. არ მოეწონა და ყველაფერი კვლავ თავიდან დაიწყო.

დეკემბრის ღამეს ამოევსო სული სიცივით,
ბუხარში შემა ჩუმი კვნესით იფერფლებოდა...
და მომეჩვენა, რომ ამ ღამით მთელი სამყარო,
ცეცხლი და ყინვა, ცა და მიწა, ქარის სისინი
შემომძახოდა, რომ ვერასდროს ვიხილავ ისევ
მას, ვინც სიცოცხლის სილამაზედ მესახებოდა,
რომ ვერასოდეს მოვერევი
ტკივილს...

შეეცადა, განახლებულ ტკივილს გამკლავებოდა... გააყრუოლა... ზუსტად ასე, ზუსტად ასე ეგონა ხოლმე ყოველთვის, თითქოს სამყარო-ცეცხლი, ყინვა, ცა, მიწა, ქარის სისინი — მთელი ცხოვრება, ყოველდღიურობა, სუნთქვა თუ საქმე, სანახაობა თუ ფიქრი — ყველაფერი ტკივილს აღრმავებდა... მუდმივი, მარადიული ტკივილი...

ფურცლები იატაკზე გაიფანტა.

აქედან მხოლოდ ხე მოსჩანდა, თითქმის შემოძარცვული, თითქმის ჩაშავებული. ხე ნელა ირხეოდა — ქარი თუ ამოქროლდა.

ვის შეეძლო ფიქრთა მონაცვლეობის კანონზომიერებას ჩასწვდომოდა — მაიამ და ლიკამ მზერა მოარიდეს... საინტერესოა, ლექსი შემთხვევით თარგმნა თუ მისი საქმე სულაც თარგმანია და არა მეცნიერული მუშაობა, არა, ასე არ შეიძლება! პო თუ უნდა, ინგლისური უნდა ისწავლოს. კი იცის, მაგრამ მისი ცოდნა პოეზიის სიღრმისა და სიძლიერის სრულყოფილად აღქმისთვის საკმაო არ არის, აი, ფრანგული ენა! ძალიანაც კარგად იცის და თარგმნაც არ გაუჭირდება. ვის თარგმნიდა? ყოყმანით გაიფიქრა, ალბათ, ბასლენს ვირჩევდიო. მისი „ნოეს ქებათა-ქება". თუნდაც სკარონი, მისი შეუდარებელი, „ეპიტაფია", ან ნერვალის ბრწყინვალე „საფოსტო სადგური". ახლა მეცხრამეტე საუკუნე? რა პოეტები ჰყავდათ. სულაც უფლისწულს ირჩევდა. მერე იგრძნო, რომ თავს აიძულებდა თარგმანზე ეფიქრა.

მაიამ და ლიკამ მზერა მოარიდეს!

— ელა, შეიძლება? — მოესმა მამის ფრთხილი ხმა.

— მამა!

მამა შემოვიდა, მის პირდაპირ დიდ სავარძელში მოხერხებულად მოეწყო. არაფერი უთქვამს, იატაკზე რატომ ზიხარო.

— დიდი ხანია მოხვედი?

— ნახევარი საათი იქნება.

— როგორ ვერ გავიგე.

სწორი, პროპორციული ნაკვთები, მოგრძო სახე, დაფიქრებული გამოხედვა. ვიცი, რომ ჭკვიანია და ამიტომ მგონია, რომ სიდარბაისლეც, გონიერებაც სახეზე აწერია. თუ მართლა ემჩნევა?

— მაია და ლიკა შემხვდნენ, მზერა მომარიდეს. — ელას რატომღაც ტუჩები აუთრთოლდა.

მამამ დაკვირვებით შეხედა.

— გეწყინა?

— ხუთი წელი ისე გავიდა, ერთმანეთისთვის ხუთჯერ არაფერი გვითქვამს.

— მაშ, რა მოხდა?

— მინდა გავერკვიო, იქნებ ვცდები.

პირველ კურსზე მაიაც და ლიკაც, მაშინ უკვე განუყრელი მეგობრები, ელასთან დაახლოებას შეეცადნენ. ელას რატომღაც აღიზიანებდა მათი ხაზგასმული ქართველობა, თეატრით, კინოთი, საერთოდ, ხელოვნებით. რამდენადაც იცოდა, მაშინ ეროვნულ-საზოგადოებრივი საკითხები საერთოდ არ აინტერესებდათ. ამ ერთი თვის წინ შეხვდნენ. ელა გააოცა მათმა უსაფუძვლო გულახდილობამ — არაფორმალები, სუვერენიტეტი, ჩვენ — ქართველები.... როგორც ყოველთვის, იმ შეხვედრის შთაბეჭდილებები მამას მაშინვე გაუზიარა. ამიტომ მიუხვდა, როდესაც უთხრა, მინდა გავერკვიო, იქნებ ვცდებიო.

— გაერკვიე? — თითქოს ჩვეულებრივი კილოთი წარმოთქმული კითხვა აღელვებას ვერ ფარავდა.

— მაგათ ლიდერებს ვიცნობ.

— პირადად? — გაუკვირდა მამას.

— არა, თამუნა მომიყვა ყველაფერს. რომ იცოდე, საკმაოდ ახლოს ყოფილა, — ელა ერთხანს სდუმდა, — არ ვიცი, არ ვიცი... რატომღაც იმ გმირებად არ მიმაჩნია, ვისაც გავაღმერთებდი და ვისაც თვალდახუჭული გავყვებოდი.

— ვერ გავიგე, ელა, იდეებზეა ლაპარაკი თუ პიროვნებებზე?

— იდეები და პიროვნებები რამ გაჰყო, თუკი ლიდერებად მივიჩნევთ. გაიცინა ელამ, — არა მგონია, რომ ასეთი კატეგორიული მოთხოვნა თუ აზრები... საქართველოს დამოუკიდებლობა, დროული იყოს.

— მაშ, არც პიროვნებანი, არც იდეების დროულობა! — ცოტა ხნის დუმილის მერე დაუმატა: — ძალის საშიშროება?

ელამ ნაღვლით შეხედა.

— ხომ ვიცი. გეშინია.

მამა პატარასავით განითლდა.

— მართალია, მეშინია. რომელ მამას არ ეშინია. — მერე მხნერა გაუსწორა. მთავარია, ღრმა რწმენა გქონდეს. ძალიან კარგად იცი, რომ ხელს არ შეგიშლი. შენი დალაგებული გონების იმედი მაქვს.

ელამ შეამჩნია, როგორი შეშფოთებული იყო მამა. ღმერთო, რას არ მოსწრებია ამ სამოცდაშვიდი წლის განმავლობაში — სისხლიან ღამეებს და შიშს. უპატიოსნოთა აღზევებასა და უგვანოთა პარპაშს, სიმართლის განადგურებისა და ადამიანური ღირსების ჩახშობის ცდას, ყალბ ლოზუნგთა ცხოვრებაში დანერგვასა და ბედის სრულ უკუღმართობას, და ყველაფერს ამას ზარ-ზეიმით რომ ახვევდნენ ზოგად-საკაცობრიო იდეების კონცეპციებში. მისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში რამდენი წინამდებარე მთავრობა და მისი საქმიანობა დაუსამარებია ახალმოსულს! განა გასაკვირია, რომ შეშფოთებულია, რომ ეშინია, რომ აღარაფრის სწამს.

— ყველა და ყველაფერი შეცდომა ყოფილა, ყველა და ყველაფერი ლაფში ამოთხვრილა, დამცირებულა. დაკნინებულა. რამდენის სიცოცხლე შეიწირა ყოველივემ! დარჩენილთაგან სულიერად დასახიჩრებულებს რისი გვჯერა, რა გვინდა, რას ვაკეთებთ, ვის გავყვებით, რა გვეღის, როგორ ვიცხოვრებთ! რა გარანტია გვაქვს, რომ ყველაფერი, რასაც ახლა ვაკეთებთ, როროგორც ახლა ვმოღვაწეობთ, უწინდელივით მცდარი და მიუღებელი არ არის. მხოლოდ იმიტომ, რომ დაჟინებით გვარწმუნებენ, სწორ გზას დავადექითო?

დედა შემოვიდა. შუქი აანთო. ელას აქამდე არც კი შეუმჩნევია, რომ ოთახში ბინდი საბოლოოდ გაბატონებულიყო.

— გაწვიმდა, ნამდვილი შემოდგომა დაგვიდგა, ადექი, შვილო, ვისადილოთ.

დედა იყო ყოველთვის წყნარი, ყოველთვის თავშეკავებული, ნამდვილი ქართველი მანდილოსანი. ოჯახის მყუდროებისა და სიმშვიდის სათავე.

...დღე დამთავრდა — მძიმე, რაღაც შფოთითა და მოუსვენარი ფიქრებით სავსე.





ა. ჩარკვიანის ფოტოები

175 წლის შემდეგ პოვა თავის სამკვიდრო-ში განსასვენებელი საქართველოს უკანას-კნელმა მეფემ სოლომონ მეორემ. იგი 41 წლისა გარდაიცვალა ტრაპიზონში, სამშობ-ლოდან გადახვეწილი, მისი ნახვის სურვი-ლით დაავადებული. მისი უკანასკნელი ნატვ-რა იყო შთამომავლებს გელათის ტაძარში მოესვენებინათ მისი ძვლები.

და ასეც მოხდა. 1990 წლის ნოემბრის თვეში სრულიად საქართველომ მიაგო პატივი სამშობლოში დაბრუნებულ მეფის ნეშტს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცისფერი თვალი

ცისფერი თვალი,
ბედნიერი ცისფერი თვალი!
ქურდი ღიმილი ეფარება მზისფერ ნამნამებს.
ვერ შემოვხედავ, ვერ დავკოცნი მაგ თვალის გვირგვინს.
ო, შემიწყალე, უეჭველად რამეს დამწამებს.
ცისფერი თვალი,
ბედნიერი ცისფერი თვალი!
თვით ოკეანეს ენატრება სიმკაცრე თვალთა:
თუ ღიმი მოსწყდა ლურჯ-თვალება ყვავილთა საფარს,
თუ შუბლი რისხვით ნამნამების მტრად აიკვალთა,
და სინამდვილე შეეპარა ყმაწვილურ ზღაპარს.
როცა ჩემს ლექსებს არ აძლევენ უდარდელ თემას,
ვით ორნოხებში ქურციკივით სუსტი ვარ, მკრთალი.
მაგრამ როს ეშხი დასთამაშებს პროფილის თემანს
არა მშორდება, მარად თან მდევს ცისფერი თვალი,
მუნჯ კოცნასავით მიბნედილი, ვნება-დამთვრალი.
ცისფერი თვალი,
ბედნიერი ცისფერი თვალი!

1921 წ.

* * *

მე ვიცი კარგად, ჩვენს სიყვარულს არა აქვს ბოლო,
სისხლიან ალერსს მკერდგახსნილი დავხვდები მუდამ,
ამ ქვეყანაზე პირველობა ჩვენ გვინდა მხოლოდ,
ჩვენ მარტო მწე გვწამს, სხვას ვუყურებთ, როგორც იუდას.

ვაზის ფოთლები შრიალებენ სიმთვრალის ხმაზე,
ჩემი ლექსები გავაფრინე მთვარესთან მძევლად,
ლალისფერ ნდობით სურვილები შემოვიხაზე
უარვყავ ტანჯვა და წამება, რომ იყო ძველად.

თეთრი იები გაიშალა მწუხარე აზრთა,
იზრდება ღამე და ფოთლები უკრავენ თარებს,
შორს, ხეივნებში ჩაინთქმება დღე ახალგაზრდა,
მოკვდება ფიქრი და სიცოცხლეს ვერ დაამთავრებს.

მე ცისფერ ვნებით დავიმიწებ გაყინულ ხელებს,
შენთან კამათში სჯობს ეს სიტყვა არ დავარბილო.
ფაფარაშლილი ვეტოლეში ტიტველა ხეებს,
მე ვიცი კარგად, ჩვენს სიყვარულს არა აქვს ბოლო.

**ნინო თარიშვილი**

გამოუქვეყნებელი ლექსი



## ლამაზი ბანოვანები

ამ რუბრიკით ჟურნალში გამოვაქვეყნებთ წერილებს ულამაზეს ქართველ ქალებზე, რომლებსაც თავიანთი გარეგნობით აღტაცებაში მოჰყავდათ და მოჰყავთ მნახველნი, ხოლო თავიანთი მოღვაწეობით, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილები, იღვწოდნენ და იღვწვიან საქართველოსთვის.

# დედა ნახე, მამა ნახე...

ჩუტა ერისთავის პორტრეტი
მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი

საქართველოს მეფის, ერეკლე მეორის პირდაპირი შთამომავალია (შვილთა შვილებიდან მეხუთე თაობა) ოთხმოცდაათი წლის, მაგრამ ახლაც ნირშეუცვლელი, სიმპატიით, სათნოებითა და სილამაზით ცნობილი ქალბატონი ელენე (ჩუტა) ერისთავი. დედამისი, აზნაურ ბაქრაძის ქალიშვილი იყო, დიდად განათლებული, კეთილი და სტუმართმოყვარე ბანოვანი. მამა, ბატონი კოწია ერისთავი, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ქედუხრელი მებრძოლი და ეროვნული კულტურის თავდადებული მოღვაწე გახლდათ.

ჩვენი დღევანდელი დღე ცხოველ ინტერესს იჩენს პატრიოტ მამულიშვილთა ნარმოჩენისათვის. ზედმეტი არ იქნება ნარმოგიდგინოთ დიდი ინტელიგენტისა და შემოქმედის, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კონსტანტინე დათას ძე ერისთავის პიროვნება. იგი მეფე გიორგი მეთორმეტის ქალიშვილის დედოფალ ნინო ბაგრატიონ-დადიანის შვილიშვილი იყო. „მისი წინაპარი, აფხაზეთის მთავრის ძე შერვაშიძე, რალაც მიზეზით გურიის მთავარს მინდობია, რომელსაც შესაფერი პატივით მიუღია და თავის სამთავროში ერისთავობა უბოძებია. ამგვარად შერვაშიძე ერისთავად ქცეულა. თუ გავითვალისწინებთ ამგვარ წინაპართა შთამომავლობას, გასაგებია, როგორი ნათესაური მეგობრობა ექნებოდა კ. ერისთავის ოჯახს ბაგრატიონების, დადიანების, გურიელების, შერვაშიძეების, წერეთლების, დადეშკელიანების და სხვა დიდებულთა საზოგადოებასთან. (ს. ცაიშვილი „კოწია ერისთავი". 1958 წ.)."

თვრამეტი წლის კოწია უკვე საკმაოდ განათლებული, რამდენიმე უცხო ენის მცოდნე და ქვეყანამოვლილი ადამიანი, მჭიდრო კავშირში იყო თავის გამზრდელ მშობელ ხალხთან, მისი ინტერესებით ცხოვრობდა და იბრძოდა (იგი ბავშვობაში გაძიძავებული ჰყავდათ მეზობელი სოფლის გლეხის ოჯახში).

როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, ბატონი კოწია ღრმად განიცდიდა საქართველოს მძიმე მდგომარეობას და ლიდერობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ, ნაკლად უთვლიდა ახალგაზრდობას, როცა აშკარად დაიწყეს წერა და ლაპარაკი საქართველოს ავტონომიაზე, რითაც ისედაც გაბოროტებული მეფის რუსეთის ხელისუფლება ზედმეტად გაალიზიანეს. ამის შედეგი იყო, რომ რუსეთის მეფემ ინტენსიურად დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე უცხო კოლონიზატორების ჩასახლება, რათა ამით ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის უფლება წაერთმია ქართველი ერისათვის. ბატონ კოწიას გულს უკლავდა, აგრეთვე, ქართული ენის შევიწროება და განდევნა, ეროვნული ტანსაცმლის — ქართული ჩოხის, კაბისა და მისი გამაპატიოსნებელი მანდილის გადაგდება. „მაშ ახლა ქართველმა ვიღას დაუძახოს მანდილოსანი?" კითხულობდა იგი.

კოწია ერისთავი მონაწილეობდა ოსმალეთთან ომში და სიმამაცისათვის წმინდა

გიორგის ჯვარი და მრავალი ორდენი დაიმსახურა. სამსახურთან ერთად აქტიურ სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა: წერდა პიესებს, საგაზეთო ნარკვევებს, პატრიოტულ ლექსებს. 1909 წელს ჩამოყალიბდა ქუთაისის ქართული დრამატული საზოგადოება. გახარებული ვალერიან გუნია მადლობის გრძნობით მიმართავდა ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს კონია ერისთავს — თქვენ მიერ დაწყებული საქმე უკვე ხარობს. ისტორია და შთამომავლობა არ დაივიწყებს თქვენს მადლიან ღვაწლს მისი დაფუძნების საქმეშიო.

მკითხველისათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ კონიას მიერ ჭაბუკობის წლებში დაწერილ და დღემდე პოპულარულ სასიმღერო ლექსს, რომლის ავტორი შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს:

„ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი,
მჭკნარი უსუნო, გასვრილი სილით,
შენგნით უმიზნოდ ის მოწყვეტილი,
გადაგდებული იქვე სიცილით.
აგრეთვე, ტურფავ შენ მომიჯადე
გული უმანკო, უცდელი ჩვილი,
თურმე ხუმრობით გსურდა გეცადე
შემდეგ მიმაგდე ვით ის ყვავილი.
ხშირად მსურს სატრფოვ, რომ
დაგაყვედრო,
გკითხო თუ რისთვის იცელქე აგრე,
რად მომიშხამე სიცოცხლე მყუდრო,
რისთვის მოწყვიტე ყვავილი ადრე.
ყვავილი კიდევ იყვავილებდა,
გაახარებდა ის თავის ბულბულს,
მეც ყმაწვილს ვინმე შემიყვარებდა,
აწ რა გაათბობს გაციებულ გულს“.

აი, ასეთი ღირშესანიშნავი მოღვაწის ოჯახში დაიბადა მშვენიერი ელენე (ჩუტა), რომელმაც თავისი შინაარსიანი ცხოვრებითა და ნიჭიერებით კიდევ უფრო მეტი პოპულარობა შემატა თავის გარეგნულ სილამაზეს. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ პატარა გოგონას დიდი აკაკი წერეთლის მაღალი შეფასება მიუღია, როცა იგი საკუთარ თავთან განმარტოებული, გატაცებით უკრავდა ფორტეპიანოს. ჩუტას ახსოვს, აგრეთვე, სოფელ იტრიაში, აგარაკზე, საქართველოს ბულბულის — ვანო სარაჯიშვილის სტუმრობა. ვანომ სიმღერა ისურვა, მაგრამ არ იყო აკომპანიატორი, მაშინ 13 წლის ჩუტას უკისრია ეს მოვალეობა, რითაც სახელოვანი მომღერალი დიდად გაკვირვებული და კმაყოფილი დარჩენილა.

ჩუტამ წარმატებით დაამთავრა ნიჭიერ ბავშვთა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი, (პროფესორ პიშნოვის კლასი) და ამ პროფესიას მთელი სიცოცხლე ერთგულად ემსახურა.

ქალბატონი ჩუტა პირად ცხოვრებაში ბედნიერი გახლდათ, ჰყავდა შესანიშნავი და ღირსეული მეუღლე, ყველასგან პატივცემული დამსახურებული იურისტი, ბატონი გრიგოლ ჟღენტი. მათი მეუღლეობა და მეგობრობა სამაგალითო იყო ყოველთვის, სტუმართმოყვარე ოჯახი კი ქართველი ინტელიგენციის სანატრელ ადგილს წარმოადგენდა.

ქალბატონ ჩუტას ცხოვრებას ავსებდა სხვა წარმატებებიც. თბილისელებს ახსოვს მისი სახე კინო-ფილმიდან „მამის მკვლელი“ (რეჟისორი ბეკნაზაროვი). ფილმში მთავარი გმირის ნუნუს როლში შესანიშნავი იყო ნატო ვაჩნაძე. ჩუტა მთავავარი გმირის — ნუნუს დედის როლს ანსახიერებდა, ხოლო პატარა ნუნუს სახეს მაშინ მისი სამი წლის გოგონა წარმოადგენდა. ეს პატარა გოგონა დღეს პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, უცხო ენების ინსტიტუტის ფონეტიკის კათედრის გამგე ირინე ჟღენტი გახლავთ. ამ ფილმში ახსოვთ ვანო სარაჯიშვილი, შაქრო ბერიშვილი, ვასო არაბიძე და სხვანი. ფილმის გამარჯვებას აღნიშნავდნენ მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული რეცენზიები. ქალბატონმა ჩუტამ ფილმში „დინა ძაძუ“ თავად დადეშქელიანის ქალიშვილის ჯიმურ-ხანის ღირსშესანიშნავი და დასამახსოვრებელი სახე შექმნა. თავადის მეორე ქალიშვილის დინა ძაძუს როლს კი მსახიობი — შურა თოიძე ასრულებდა. აქ კი აჯობებს თვით რეჟისორის მიერ დაწერილ ბარათს გავეცნოთ: „ჩემს ფილმში იგი (ჩუტა) თავადის ქალიშვილს ანსახიერებს, ამ მეტად კოლორიტული და ორიგინალური მსახიობისათვის დამახასიათებელია ფაქიზი სილამაზე და თავის დაჭერის მანერა, წარსულში ღრმად წვდომის უნარი, რომანტიულობა, ძუნწი და ნათელი გამომსახველობა, ფერთა მომხიბვლელი პალიტრა“. ჩუტა ერისთავი გადაიღეს, აგრეთვე, უკრაინის სახალხო არტისტის ივანე კავალერიძის ფილმში „პრომეთე“.

ჩუტა ერისთავი მონაწილეობდა 1937 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების დეკადაში, ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა იგი საგანგებოდ შეარჩიეს და მოამზადეს ქართული ცეკვის სოლისტად, ხოლო დეკადის ბრწყინვალე წარმატების შემდეგ ხშირად მონაწილეობდა მოსკოვ-ლენინგრადში გამართულ კონცერტებში, როგორც ქართული ცეკვის შესანიშნავი შემსრულებელი. ახსოვს წარმატება და ოვაციები დიდი თეატრის სცენაზე, რომლის შესახებ აღნიშნავდა ცენტრალური პრესა. სასიამოვნო მოგონებად დარჩა პოეტ კონსტანტინე ბალმონტთან შეხვედრა თბილისის კაფეში, სადაც ქალბატონი ჩუტა თავის დასთან მარიამთან ერთად იყო და მათ ორივეს პოეტმა ლექსები უძღვნა.

— ეს კი ის მარიამია, — იგონებს ქალბატონი ჩუტა, — რომელიც მრავალი წლის მანძილზე უზომოდ და უიმედოდ უყვარდა ჩვენს სასიქადულო თანამემამულეს გრიგოლ რობაქიძეს.

ჩუტას ქალიშვილობაში მისი სილამაზით აღტაცებულმა პოეტმა ნიკოლოზ ბაზირევმაც მიუძღვნა ლექსი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტების გარდა მხატვრების შთაგონებაც გახლდათ ქალბატონი ჩუტა. ამას ადასტურებს დიდი მხატვრების მ. თოიძისა და ქ. მაღალაშვილის საინტერესოდ შესრულებული ფერწერული პორტრეტები.

შვილების სიმცირის მიუხედავად (ერთი ქალიშვილის მეტი არა ჰყავს) უბედნიერესია დიდი ბებო. სიძე ღირსეული ჰყავს— ბატონი კაკო ძიძიგური, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ამჟამად ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი. შვილიშვილი მედეა ძიძიგური გახლავთ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ესტრადის აღიარებული მომღერალი, რომელსაც გენეტიკურად გადაეცა ბებიისაგან აბსოლუტური სმენა და მუსიკალური ნიჭი. ამის იმედს იძლევა შვილიშვილის შვილი, ფერიასავით ლამაზი და ჰაეროვანი პატარა ელენე.

ოთხმოცდაათი წლის ბანოვანი ალბათ კიდევ დაგვატკბობს თავისი დიდებულებით. ტყუილად კი არ ნაუწერა მას მიძღვნილ წიგნზე ბატონმა კონსტანტინე გამსახურდიამ „ძველი საქართველოს უკანასკნელი ცოცხალი ფრესკა“.

დამანა მდივნიშვილი

# დიდი სატკივარი...

ეს რამხელა სატკივარი გვქონია და ხმას არ ვიღებდით...

გვტკიოდა, ყველას გვტკიოდა, წამალს კი არ ვეძებდით, თითქოს გვეშინოდა ჩვენი წყლულების სააშკარაოზე გამოტანისა. ის კი გვავიწყდებოდა, ჭრილობიდან დაძრული ჩირქი დღეს თუ ხვალ ტანსაცმლიდან რომ ამოჟონავდა.... თუმცა, ამოჟონა კი არა, ამოხეთქა — ძირმაგარასავით გასკდა 1989 წლის 16 ივნისის „ახალგაზრდა კომუნისტში" თანამედროვე ამორძალების მანკიერება. მას შემდეგ წამოვიდა წერილების ქარავანი— სხვადასხვა რეცეპტს გვთავაზობს მკითხველი ამ ვერაგი სენის სამკურნალოდ...

ტკბილი წამალი არ არსებობს, — ასე რომ, მხოლოდ ლამაზი სიტყვებითა და დელიკატური მოპყრობით საქმეს ბოლომდე ვერ გავიტანთ. მორიგი წერილი ისევ და ისევ გარყვნილობის წინააღმდეგ დაიწერა, მაგრამ, თუ მთელი საზოგადოება არ ამოგვიდგა მხარში, მარტო ჩვენი ხმამაღალი ლაპარაკი ისევე დარჩება, „ვითარცა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

უკვე დროა, ყველანი ავიდეთ ერის სამრეკლოზე და ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა დავრეკოთ ზნეობის გამოსაფხიზლებელი ზარები.

...რაკი წამალი ყოველთვის მწარეა, მწარე სინამდვილესაც თვალს ნუ მოვუხუჭავთ: ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, — რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?! განა ვენერიული სენით დაავადებულის შვილი ალკოჰოლიკის შვილზე უკეთესი იბადება?! ახლა, იტყვიან, ყველა ხომ არ ავადდებაო მაგ სენით? გულს ნუ დაიმშვიდებთ, დღეს თუ არ არის დაავადებული, ხვალ დაავადდება.

ამას წინათ, ერთი თანამდებობის პირი აღშფოთებით მეუბნებოდა, რომ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში არ უნდა მუშაობდნენ ისეთი პირები, რომლებიც იქნებიან გარყვნილებაში შემჩნეულიო. მერე ერთი ლექტორის გვარი დაასახელა, რომელიც, თურმე, ისე ამაზრზენად ლაპარაკობდა მის მიერ შეცდენილ ქალებზე, ისე ამაყობდა თავისი სასიყვარულო ინტრიგებით, რომ ცემას ძლივს გადამირჩაო... სულ ორიოდე დღის შემდეგ კი ერთი პედაგოგი (?) მიმტკიცებდა ქალისა და კაცის შემთხვევითი კავშირები სულაც არ არის უზნეობა, ეს ჩვეულებრივი, ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, ისეთივე, როგორიც ძილი, ჭამა, სმა, დასვენება... (საინტერესოა, რით განსხვავდება ადამიანი პირუტყვისაგან), თუ ყველა ინსტიქტს მონურად ქედი მოუხარა?!) — მეძავი არავის არა ვნებს, მთავარია, კაცი არ მოკლა და ენა არ მიუტანოო, (?)!

ზოგიერთების აზრით კი, ოჯახი ზედმეტი ბარგია, მათ ურჩევნიათ „გრეტა პირველის" მსგავსად თავიანთი შვილები „ხელოვნურად დაობლონ", ოღონდაც „თავისუფლება მოიპოვონ" (საკითხავია, როგორ ადამიანებს გაზრდიან ასეთი ქალები?!)

ზოგჯერ, როცა მოღალატე ქმარი ოჯახიდან მიდის, მისი ცოლი სულ სხვა ქალზე იყრის ჯავრს, სულ სხვა ბავშვებს წაართმევს მამას, ასეთ ქალს ავიწყდება, რომ ბოროტებას ბოროტებით არ უხდიან სამაგიეროს და, რომ იმ ქალზე მეტად დაეცა რომელმაც მისი შვილები „დაობლა". საკუთარი ბედნიერება სხვისი გაუბედურების გზით დიდი უსინდისობაა და ასეთ „ბედნიერებას" საზოგადოება ყოველ ნაბიჯზე კიცხავს.

ოჯახური უღლის სიმძიმე ქალის მხრებს უფრო ამძიმებს. ოჯახის სიწმინდე, ძირითადად, ქალის სიწმინდით იზომება. ქალი, რაკი დედობისათვის არის მოწოდებული, ვალდებულია პირადი ბედნიერება შვილის ბედნიერებას შესწიროს. ბავშვებს ძალიან მგრძნობიარე გული აქვთ, მათ ყველაფერი ესმით და საშინლად განიცდიან მშობლების უკეთურობას. ამიტომ ყველა დედას და მამას გულით ვთხოვ, ნუ დაჩაგრავენ პატარებს თავიანთი უწესო ქცევით, თორემ ცუდ ნაყოფს მოიმკიან, — მათი შვილები (უმეტეს შემთხვევაში) ან ცხოვრებისაგან დაბეჩავებულ და მხდალ ადამიანებად ჩამოყალიბდებიან, ან კიდევ მშობლებს გაასწრებენ უზნეობაში. არც ერთ გზააცდენილ ქალსა თუ კაცს არ უნდა, რომ მისი შვილიც ციცაბო ბილიკებს გაუყვეს, — მათ სტკივათ თავიანთი მდგომარეობა; განა „გრეტა მეორე", საქვეყნოდ რომ აცხადებს არა მრცხვენია ჩემი მოქმედებისაო, — უნდა დავიჯეროთ? თუ არა რცხვენია, რატომ სახელსა და გვარს არ აწერს იმ წერილს, რომლითაც „თანამედროვე ამორძალებს" გამოეხმაურა?

...ქართველებს გვიყვარს ლამაზი სიტყვებით სამშობლოს სადღეგრძელოების თქმა, ბევრი თანამედროვე ახალგაზრდა არც დაფიქრდება, ისე შესწირავს სიცოცხლეს საქართველოს კეთილდღეობას, მაგრამ სამშობლოს სიყვარული მარტო მშობლიური მიწა-წყლის დაცვა არ არის. ქართული პატიოსნების დაცვაც სამშობლოს სიყვარულია. წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული მაღალი ზნეობა და ამ ზნეობას გაფრთხილება უნდა. თუკი გადავჯიშდებით, თუკი ჩვენს სახეს დავკარგავთ, რაღა ქართველები ვიქნებით?! მე ამ სიტყვებით არც ერთ სხვა ერს არ ვაყენებ შეურაცხყოფას, მე ჩემი ერის ტკივილი მტკივა! ერთი მუჭა ხალხი ვართ და რა გვჭირს ისეთი, რომ არ გავუფრთხილდეთ იმ უდიდეს ეროვნულ საუნჯეს, რომელსაც ქართველი ქალის კდემამოსილება ჰქვია?!

კლასიკოსთა ნაწარმოებებში პროსტიტუციის სხვადასხვა წარმომადგენელს ვხვდებით. მათ შორის ყველაზე უფრო დასამახსოვრებელია დედა, რომელსაც ბავშვი შიმშილით უკვდება, იძულებულია საკუთარი სხეულის ფასად შვილის სიცოცხლე შეინარჩუნოს. ასეთ ქალს ზნედაცემულს ვერც უწოდებ, — უკიდურესმა გაჭირვებამ გაიყვანა იგი ქუჩაში, თორემ მის სიცოცხლეს რომ დამუქრებოდა საფრთხე, მაშინ აღარ გადასდგამდა საბედისწერო ნაბიჯს. საინტერესოა, „თანამედროვე ამორძალები" თვითონ კვდებიან შიმშილით თუ შვილები უკვდებათ?! ან რას ყიდულობენ ამ სამარცხვინო გზით აღებული ფულით იმაზე ძვირფასს, რასაც სინდისი ჰქვია? თუმცა, ახლა ზოგი „თანამედროვე..." თურმე იქეთ იძლევა ფულს ზოგი კი „გაგებული გოგოს" როლს ასრულებს, — ამ ტერმინის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ასეთია: „ფულს არ ვიღებ წამიერი ტრფიალების ფასად". გვინდა შევახსენოთ ასეთ „გაგებულ გოგოებს", რომ რეჟისორს შეუძლია შეცვალოს ცუდი სცენა და თავისი ჩანაფიქრი უნაკლოდ მიიტანოს მაყურებლამდე, ცხოვრებას კი რეჟისორი არა ჰყავს, თითოეული ჩვენი მოქმედება განუმეორებელი კადრია, ამიტომ წუთისოფელი ისე უნდა გავლიოთ, რომ კადრების ამოჭრა არ ვისურვოთ. მართალია, უნაკლო ადამიანი არ არსებობს, ყველას გვაქვს რაღაც შეცდომა, ზოგჯერ დიდი წმინდანები და გენიოსებიც სცოდავდნენ, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც... ვინ არ იცის, რომ თოვლის გუნდა, თუ მთიდან დაგორდა, ზვავად იქცევა. ასევე, ზოგჯერ უმნიშვნელო დანაშაული ბედისწერად ექცევა ხოლმე ადამიანს. ამიტომ წვრილ-წვრილი შეცდომები დროულად უნდა ამოვფხვრათ, თორემ დიდ ბოროტებად გადაიქცევა და გვიმსხვერპლებს!

ზოგი ქალი ბალზაკის „ოცდაათი წლის ქალივით" თავს აცოდებს მორიგ პარტნიორს, — ქმარი არ მიყვარს, ჩემი ერთადერთი სიყვარული შენა ხარო... გულაჩუყებული კაცებიც ყველანაირად ცდილობენ დაუყვავონ „უბედურ ქალებს" და ბოლოს თვითონვე რჩებიან უბედურები— ან ოჯახი ენგრევათ, ან ოჯახს ვერ

ქმნიან! რატომღაც ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „პირველი სიყვარული“ გამახსენდა, სადაც უზნეო, გარყვნილი ქალი ყველა კაცს პირველ სიყვარულს ეფიცება, თანაც მორცხვად ამბობს: „იმნაირი არ გეგონო, გათხოვილი ქალი ვარ“-ო, სამწუხაროდ მომრავლდნენ „იმნაირი“ გათხოვილი ქალები, რომლებიც ქმრის თვალის ასახვევად სამსახურში წასვლა-მოსვლის გრაფიკს არ არღვევენ, მერე იქიდან ათასი ტყუილის ფასად ხან სად დადიან, ხან—სად. ზოგი კი იმდენად არის გათავხედებული, ქმარსაც არ ერიდება, ბევრმა „კაცმა“ იცის, ცოლი რომ ყოველ ნაბიჯზე ღალატობს, მაგრამ ხმას ვერ სცემს, ეშინია, სამუდამოდ არ დაკარგოს „ძვირფასი მეუღლე“.

შიში და ღალატი იქით იყოს, ჩვენ კი ყველა „იმნაირი“ გათხოვილი თუ გაუთხოვარი ქალის გასაგონად ვამბობთ, რომ თუ ახლა დავინდეთ და სახელებითა და გვარებით არ მოვიხსენიეთ, მომავალში აუცილებლად ვამხელთ და ზუსტად დავასახელებთ იმ სასწავლებლებს თუ სამუშაო ადგილებს, სადაც ისინი მოღვაწეობენ.

ახლა კი შენ მოგმართავ „გრეტა მეორე“, არ გეგონოს რომ დაგცინოდე, პირიქით, ძალიან მეცოდები. შენ თვალახვეული მიექანები ცხოვრების აზვირთებულ ტალღებში, — მე კი ვხედავ შენს საცოდაობას... მართალია, ეთიკის ნორმებს ვარღვევ, როცა პირადად გეუბნები მეცოდები-მეთქი, მაგრამ შენს მიმართ სხვა გრძნობა არა მაქვს, აუცილებელია იცოდე, რომ საცოდავი ხარ. როცა პირველად „ფეხი გადაგიბრუნდა“, მაშინ შენს გვერდით გულისხმიერი ადამიანები რომ ყოფილიყვნენ, ახლა აღარ იტყოდი „მეც გრეტა მეორე ვარ“-ო, „არ შეიძლება ნამდვილი გატაცებისა და სიყვარულის გარეშე არსებობდეს ის სწრაფვა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას სრულფასოვნებას რომ ანიჭებს“-ო. საერთოდ, იცი რა არის სიყვარული, ან რას ეძახი „ქალისა და კაცის ურთიერთობის სრულფასოვნებას, ან თუ გყვარებია ვინმე?!..., შეიძლება ძალიანაც გიყვარდა და ჩაგიკლეს ნრფელი სიყვარული, მერე კი აზრი შეგეცვალა ყველანაირი სიწმინდის მიმართ, — ვინ იცის, რა გახდა შენი ცხოვრების ტრაგედია... მინდა შეგახსენო, რომ სიყვარული და მრუშობა სხვადასხვა ცნებებია, განა სულმნათმა შოთამ არ გვასწავლა, რომ „უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“ ნამდვილი სიყვარული არ არის? განა მართლა არ იცი, რომ სიძვასა და სიყვარულს შორის უდიდესი ზღვარია?! ზოგიერთები იტყვიან: მეოცე საუკუნეში რაღა დროს „ვეფხისტყაოსანიაო.“ მართალია, ატომის ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსთაველი ყველა ეპოქის თანამედროვეა!...

**ნანა დავითაშვილი**

# წყალგაღმა დარჩენილი კაცი

ნამდვილი ამბავი

გუზუმბათის მთაზე ზანტად ამოცურდება მზე, წვეროზე შემოჯდება, ფერდობზე შეფენილ პატარა სოფელს გადახედავს და მაცოცხლებელ სხივებს გადმოაფრქვევს მიდამოს.

გუზუმბათის მთის გამოღმა გორმაღალას მთა წამოზიდულა, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ფშავის ულამაზესი სოფლები.

როცა გაზაფხული მთების გადაშლილ გულ-მკერდს ააფერადებს, გორმაღალას მთას ამოაკითხავენ ფშავ-ხევსურები, ცხვარ-ძროხასთან ერთად ბაღლებსაც წამოასხამენ, ნაზამთრალი ბინების აჭედილ კარებს ფართოდ გააღებენ და იქაურობას ჟივილ-ხივილით გააყრუებენ.

მელიასხეველ ანიკო გიგაურს საქსოვი დაეჭირა, ჭრელი ბაწრის გორგალი ნაჭრის შავ პარკში ჩაედო და ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა სოფლის გზას. თურაშაულივით უღვიოდა ლოყები 80 წლის მოხუცს.

მივესალმე და ვთხოვე, „ნატვრის ხესთნ“ სურათი გადამაღებინე-მეთქი, ხელები გაასავსავა, — ჩემისთანა გადაბერებულის სურათი რად გინდათო, პირი იბრუნა და ჩქარი ნაბიჯით გამშორდა. მივხვდი, „შეცდომას“ დროზე თუ არ გამოვასწორებდი, მოხუცი ხელიდან დამისხლტებოდა და მივაძახე, — მარიამ მარაულს თუ იცნობდით, ქალთათავს რომ ეძახოდნენ მეტსახელად-მეთქი.

ქალთათავის ხსენებაზე შემობრუნდა, გაოცებული მზერა მომაპყრო და რა ხარ იმისიო, — მკითხა; პასუხს აღარ დაელოდა და მოთქმავიშვიში ატეხა, — აღარა გვყავს, დედავ, ქალთათავი, სიკვდილმა წაგვართვა ბეჩავიო, — დაკოჟრილი ხელით ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი მოიწმინდა, მერე იქვე კუნძზე ჩამოჯდა, ნელ-ნელა შეუდგა ძველი ამბების გახსენებას...

რვა შვილის დედას, მხნე და უტეხი ნებისყოფის მანდილოსანს, მარიამ მარაულს ოჯახის ბერმუხად იცნობდნენ თიანეთის ახლო-მახლო სოფლებში. მისი ცხოვრება ერთი შეხედვით ზღაპარს წააგავდა, ლამაზ ქართულ ზღაპარს. ფშავში, სოფელ შარახევში დაიბადა მარიამი. მის მამას, ქიტესა მარაულს, ათი შვილი ჰყოლია, მარიამი განსაკუთრებით ჰყვარებია და ასულისათვის მშვენიერი გარეგნობის გამო ქალთათავა შეურქმევია მეტსახელად.

მომხიბვლელ გარეგნობასთან ერთად მარიამი მეტად შრომისმოყვარე და, გულადი, უშიშარი ქალი ყოფილა. გორმაღალას მთაზე შეხვედრიან ერთმანეთს ქალთათავი და ვეხვლელი ვაჟიკა ჭინჭარაული. ქალვაჟს ერთმანეთი მოსწონებიათ და მშობლების თანხმობით, მარიამი აფშინაანთ ვაჟიკას დანიშნული გამხდარა. როგორც მოხუცის საუბრიდან გავიგე, საპატარძლო სხვა ვაჟს გაუტაცნია, მაგრამ საქმროსა და სადედამთილოს ქალი წაურთმევიათ და ვერხველაში წამოუყვანიათ.

რვა შვილი შესძენიათ მარიამ მარაულს და ვაჟიკა ჭინჭარაულს. ასეთი საზღაპრო თავგადასავლის მერე განა ვინმეს ეჭვი შეეპარებოდა მათი ოჯახის სიმტკიცეში? მოიფიქრებდა კი ვინმე ამ დიდი ოჯახის დანგრევას?

რატომ შეეპარა ბზარი მათ სიყვარულს? რომელმა მხარემ დაარღვია ოჯახის სიმტკიცის ძველთაძველი ტრადიცია? რა მიზეზით გაიყარნენ რვა შვილის მშობლები? გარეგნობით მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილა ვაჟიკა ჭინჭარაული, გარმონზე კარგად დამკვრელი და მომღერალი. მთაში ლხინი არ ჩაივლიდა, თურმე, უმისოდ, კვირიდან კვირამდე ღრეობაში ატარებდა დროს.

ამჩატდა ოჯახის მამა, აღარც თავისი მშვენიერი ქალთათავი ახსოვდა და აღარც წვრილშვილი. შინ იშვიათად შეივლიდა და მაშინაც ჩხუბსა და აყალ-მაყალს ატეხდა.

ოჯახს თანდათან კაცის ხელი აკლდებოდა, შვილებს — მამის სითბო



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



და მზრუნველობა. ბოლოს საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ გზასაცდენილმა კაცმა ცოლ-შვილი შინიდან გარეკა და იმათაც საქონლის გომურში შეაფარეს თავი.

ერთ ღამეს, როცა დედასა და შვილებს ღრმა ძილით ეძინათ, გომურს ვიღაც არაკაცები მიადგნენ, კარი გარედან გადარაზეს, იქაურობას ნავთი მიასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

იმარჯვეს მეზობლებმა და ნათესავებმა. დედა და შვილები დაწვას კი გადაარჩინეს, მაგრამ დაშინებული ოთხი წლის ბაბულას გული დაუავადმყოფდა, მალე გოგონა მიწას მიაბარეს...

ვინ უნდა ყოფილიყო ამ ავკაცობის, გაუგონარი ბოროტების ჩამდენი?.. ეჭვგარეშეა, ვაჟკაცზე რალაცით განაწყენებულმა მტერმა მის უდანაშაულო ცოლ-შვილზე სცადა ჯავრის ამოყრა.

რვა შვილი გამოზარდა გაჭირვებით მარიამ მარაულმა. ბალღებსა და საქონელს მულ-მაზლსა და მეზობლებს ჩააბარებდა, შეჯდებოდა თავის ლურჯაზე და კახეთისაკენ გასწევდა, გაივლიდა ანისხევს და ახმეტის ტყეზე გავლით თელავში ჩავიდოდა...

თელავში ერთ კვირამდე რჩებოდა. კალოზე კევრში ლურჯას შეაბამდა და ძნას ლეწავდა. გასამრჯელოდ ორ წილ ხორბალს აძლევდნენ — ერთი წილი ქალს ერგებოდა, მეორე — ცხენს. სამუშაოს რომ მორჩებოდა, დატვირთული შინისკენ მიეშურებოდა. მაშინ, ომის მძვინვარე დღეებში, დეზერტირობის გზაზე დამდგარი თითო-ოროლა ნაძირალა ტყეს აფარებდა თავს. ახმეტის გაუვალ ტყეებში თოფმომარჯვებული ყაჩაღი მარიამსაც გადასდგომია წინ. მის დანახვაზე იარაღი ძირს დაეშვა და დანანებით ეთქვა, — ქალთათავი ყოფილა, გაუშვი, წავიდესო.

რის ვაი-ვაგლახით მიაღწევდა მარიამი ვერხველს. შვილების ალერსს მონატრებული ყველას სათითაოდ ჩაიკრავდა გულში — დედავ, ხომ არაფერი გტკივათ, ხომ არავინ დაგჯაბნათო. მერე წისქვილში გაიქცეოდა, სასწრაფოდ ორ-სამ ლიტრა ხორბალს ჩამოფქვავდა, საჯის ლავაშებს დააცხობდა, ექვს ნაწილად გაყოფდა, შვილებს დაურიგებდა, თავად კი დაღლილ-დაქანცულს ცეცხლისპირს ჩაეძინებოდა.

გათენდებოდა დილა და მარიამსაც ახალი საზრუნავი გაუჩნდებოდა. იქით — საქონლის მოვლა-პატრონობა და საზამთროდ თივით მომარაგება, აქეთ — მარხილით ტყიდან შეშის ჩამოტანა. ოჯახისათვის სარჩოს შესაძენად ხშირად „ოჩხარიც" გაუმართავს.

ზამთრის გრძელ და სუსხიან ღამეს ლამფის შუქზე ხან საჩეჩელს მიუჯდებოდა, ხან კი ჯარასა და საქსოვ ჩხირებს მოიმარჯვებდა. მძიმე ცხოვრების მიუხედავად, გაჭირვებას არ უშინდებოდა ქალთათავი. სხვებივით წუწუნი არ უყვარდა და არც შვილებს აჩვევდა გულის გატეხას.

ბევრჯერ სთხოვა ქმარყოფილმა პატიება, მაგრამ ამაყი დიაცი ცივი უარით ისტუმრებდა და ხანჯალივით მიაგებებდა ერთ ფშაურ გამონათქვამს: — „ბეჩავსა ცოლი რად უნდა, ცოდვა ეყოფა ცოლადა".

დაიზარდნენ შვილები, დაოჯახდნენ. მარიამის ორი ვაჟი ვერხველში დაფუძნდა და შვილებით და შვილიშვილებით გაივსო. დანარჩენნი ბარის სხვადასხვა კუთხეში დაბინავდნენ.

ქალიშვილი ქიზიყელების საყვარელი რძალი გახდა. დედის კარგი ზნეობრივი მაგალითით აღზრდილი მზექალა ჰინჰარაული პატიოსნებით, ოჯახის ქალობითა და კარგი დედობით გამორჩეული ქალია. მისმა უმცროსმა ძმამ, ბერდიამ, მზექალას ახლოს ირჩია დასახლება.

არ გამართლდა ხალხური ნათქვამი: „კარგი ქვა კედელს არ გამოსძვრებაო". მთიელმა ქალმა ბარის შრომა-საქმიანობას ადვილად აუღო ალღო. შეიყვარეს ნუკრიანელებმა ბერდია ჰინჰარაული და კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადირად აირჩიეს.

შარშანდელი ზამთარი კახეთში შვილებთან გაატარა მარიამმა. სულმოუთქმელად ელოდა გაზაფხულის მოსვლას, რადგან შეუძლოდ გრძნობდა თავს და გულიცა და თვალიც მაღალი მთებისკენ მიუწევდა. ჩემი ვერხველის მიწა მეძახის, ჩემს საწოლში მინდა სული დავლიოო, — ამბობდა მოხუცი.

არ აუხდა ნატვრა. ავადმყოფობამ ლოგინს მიაჯაჭვა და ველარ ეღირსა მთაში ასვლას.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეინარჩუნა უტეხი და უშიშარი ხასიათი. კვდებოდა ქალთათავი და საკუთარ თავს საყვედურობდა: ბეჩავ კაცი ხარ ჯაბანავ, ძალად თავს გაბამ ბაწრითაო, ხან კი თავისი 38 ნაშიერი გაახსენდებოდა და წამოიძახებდა: მუხა ვარ, მუხა, ჩემი სიკვდილი არ იქნებისო.

ზაფხულში ვერხველის მიწას მიაბარეს შვილებმა დედა. მთიელებმა გულით დაიტირეს თავიანთი საყვარელი ქალთათავი. უამრავი მოჭირისუფლე ჩამოსულიყო კახეთიდანაც...

ანდერძიც შეუსრულეს. სოფელმა და შვილებმა ოჯახის მოღალატე კაცს გზა გადაულობეს, ცხედართან არ მიუშვეს, უკან გააბრუნეს ცოლყოფილის დასატირებლად მისული.

სასაფლაოს შემაღლებული ადგილიდან ხალხი წყალგაღმა დარჩენილი კაცის ლანდს ხედავდა, რომელიც ხან იქვე გამხმარ კუნძზე ჩამოჯდებოდა შუბლზე ხელმოჩრდილული, სასაფლაოს მიაპყრობდა მზერას, ხან კი ტყის სიღრმეში შევიდოდა და ცოტახნით გაუჩინარდებოდა. რას დასტრიალებდა იმ წუთში მისი ფიქრი და გონება? საკუთარი ოჯახის წინაშე ჩადენილი მძიმე დანაშაულის მონანიებას თუ იმ ულმობელი განაჩენის სიმწარეს, შვილებმა და სოფელმა რომ გამოუტანეს სიბერის ჟამს. ვინ იცის, იქნება ერთსაც და მეორესაც

ზეინაბ ბეთიაშვილი

# აცრები ყველა ბავშვისათვის აუცილებელია

ცენტრალური ტელევიზია და „მედიცინსკაია გაზეტა“ გვატყობინებენ, რომ ქ. მოსკოვში ადგილი აქვს დიფტერიით დაავადების აფეთქებას და სიკვდილის შემთხვევებსაც. დიფთერიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრების ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოში დიფთერიის დაავადების შემთხვევები თითქმის ლიკვიდირებულია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რეგიონში ადგილი აქვს დაავადების ერთეულ შემთხვევებს, ისიც ძირითადად აუცრელ ბავშვებში.

დიფთერია ანუ ხუნაგი ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა შორის ერთ-ერთი მძიმეა. დღეს, როდესაც ჩვენს ხელთაა დიფთერიით დაავადების საწინააღმდეგო საშუალება პროფილაქტიკური აცრების სახით კიდევ ერთხელ გვინდა მშობლებს შევახსენოთ, რომ პროფილაქტიკურ აცრას ბავშვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ინფექციური დაავადებები ბავშვებში ხასიათდება მძიმე და თავისებური მიმდინარეობით.

რა ხდება ორგანიზმში პროფილაქტიკური აცრის დროს?

ორგანიზმში ხელოვნური გზით შეყვანილი მიკრობები გამოიმუშავებენ იმუნო ან ანტისხეულებს, რომელთაც შესწევთ უნარი დაშალონ, შეაწებონ, მოსპონ არა მხოლოდ დახოცილი და დასუსტებული, არამედ შემდეგში ორგანიზმში მოხვედრილი, მძლავრი შესაბამისი დაავადების გამომწვევი უნარის მქონე მიკრობებიც. ასეთი გზით გამომუშავებულ იმუნიტეტს აქტიურ იმუნიტეტს უწოდებენ. აქტიური იმუნიზაციის პირობებში იმუნოსხეულები დროთა განმავლობაში თანდათან მაინც კარგავენ ძალას. ამიტომ ყოველ 5-8 წელიწადში ერთხელ აცრა მეორდება, რასაც რევაქცინაციას უწოდებენ. იგი აძლიერებს და ამტკიცებს გამომუშავებულ იმუნიტეტს.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, წითელას, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრები. იგი სავალდებულოა ყველა ბავშვისათვის. არსებობს სხვა ინფექციური დაავადებების — მუცლისტიფის, ბრუცელოზის, ქოლერის, ტულარემიის საწინააღმდეგო აცრაც, რასაც მაშინ მივმართავთ, როდესაც ამ დაავადებათა გართულების საშიშროება იქმნება.

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა, ბცჟ-ს ვაქცინაცია, ტარდება სამშობიარო სახლში ბავშვის სიცოცხლის მე-5-7 დღეზე. განმეორებითი აცრა ანუ რევაქცინაცია ტარდება 7 წლის, 11-12 წლის, და 16-17 წლის ასაკში.

რევაქცინაცია უტარდებათ კლინიკურად ჯანმრთელებს, რომელთაც მანტუს რეაქცია უარყოფითი აქვთ. დიფთერიის, ტეტანუსის, ყივანახველას ვაქცინაცია ბავშვებს უტარდებათ 3 თვის ასაკში. ვაქცინაცია ტარდება სამჯერადად, თვენახევრის ინტერვალით. რევაქცინაცია კეთდება პირველადი ვაქცინაციის დამთავრებიდან 1,5-2 წლის შუალედში. 9-10 წლის ასაკში და შემდეგ 10-10 წლის ინტერვალით მოზრდილ მოსახლეობაში. პოლიომიელიტის აცრა ბავშვებს უტარდებათ 3 თვის ასაკში, სამჯერადად თვენახევრის ინტერვალით. პირველი ორი რევაქცინაცია ტარდება ორჯერადად 1-2 წლ. და 2-3 წლის ასაკში თვენახევრის ინტერვალით. მესამე-მეოთხე-ერთჯერადად 7-8 წლის და 15-16 წლის ასაკში. პოლიომიელიტისა და დიფთერია-ყივანახველა-ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრა ტარდება ერთდროულად ერთსა და იმავე დღეს. წითელას საწინააღმდეგო აცრა ტარდება 12 თვის ასაკში, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრა ტარდება 15-18 თვის ასაკში.

სად და როგორ ტარდება აცრები? ყველა აცრა უნდა ჩატარდეს მხოლოდ პოლიკლინიკაში, სადაც მოწყობილია სპეციალური ამცრელი კაბინეტი; ბავშვები, რომლებიც ბაგა-ბაღში და სკოლაში დადიან, უნდა აიცრან იმავე დაწესებულებაში. ბინაზე აცრა სასტიკად აკრძალულია.

ყველა პროფილაქტიკური აცრის შემდეგ ბავშვი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. თუ დედამ აცრის შემდეგ ბავშვს ნორმალური მდგომარეობიდან რაიმე გადახრა შეამჩნია, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ექიმს.

წესითა და კალენდარული ვადებით ჩატარებული პროფილაქტიკური აცრა დაიცავს ბავშვს ინფექციური დაავადებისა და მის მიერ გამოწვეული გართულებებისაგან. დაავადების შემთხვევაში კი უზრუნველყოფს ავადმყოფობის მსუბუქ მიმდინარეობას.

პატივცემულო მშობლებო! ნუ დაარღვევთ აცრის კლინიკურ ვადებს. ამით ხელს შეუწყობთ თქვენი შვილის ჯანმრთელობას.

**ნ. უმიკაშვილი,**

საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში. რესპუბლიკის მთავარი პედიატრი. რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

# საინტერესო ამბების სკივრი

ცხოველებისათვის სულერთი არაა, როგორი ტანსაცმელი აცვიათ მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებს, განსაკუთრებით მათ მომვლელებს. მაგალითად, ქათმები და წიწილები შფოთავენ, როცა ხალხს აცვია შავი ან ყავისფერი ტანსაცმელი; ძროხებს არ მოსწონთ, როცა მწველავები მუქლურჯ წინსაფრებს ატარებენ.

*

ძროხა უფრო მეტ რძეს იძლევა, როცა იგი კლასიკურ მუსიკას ისმენს. მუსიკა ამშვიდებს ძროხას, განტვირთავს მის დაძაბულობას, ეს კი ხელს უწყობს წველადობის 5-10 პროცენტით გაზრდას. ძროხებს კლასიკოსებიდან ყველაზე მეტად მოსწონთ ბახი, ხოლო როკენ-როლი და სხვა როკ-მუსიკა მნიშვნელოვნად ამცირებს წველადობას.

*

ბუნებრივი, შეულებავი ქერათმები სულ უფრო და უფრო იშვიათად აქვთ ქალებს. მეცნიერები თვლიან, რომ ამის მიზეზი კვების რაციონის შეცვლაა. სკანდინავიის ქვეყნებში, მაგალითად, უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე მენიუდან ამოვარდა ერთ დროს ტრადიციული თევზეული.

*

ბევრ ქვეყანაში შეყვარებული წყვილები კინოთეატრში იმდენად ფილმების სანახავად არ დადიან.

**რამდენადაც** — კოცნისთვის და სულაც არ დაგიდევენ სხვების ჭვრეტას. მაგრამ დახეთ, რა ხდება ტაილანდის ქალაქ ბანგკოკში! ამისათვის იქ ბილეთის ღირებულებაზე მეტად აჯარიმებენ. ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით ბანგკოკში, მაყურებელთა დარბაზში კოცნა ითვლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად. წყვილები ჯარიმდებიან 25 დოლარით. ეს, რა თქმა უნდა, ძვირია...

შენიშნულია, რომ ბევრ ადამიანს და მათ შორის საკმაოდ საქმიან და მოწესრიგებულ პირებს, უყვართ შინ თუ სამუშაოზე ერთგვარი უწესრიგობის შექმნა. მაგრამ როგორც ინგლისელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ეს ფეთხუმობით სულაც არ არის გამოწვეული. ახალი იდეები ხშირად სრულიად მოულოდნელად იბადება და ამიტომაც ცოტაოდენი არეულობა კიდეც უწყობს ხელს მათ წარმოქმნას. აბა, განსაკუთრებულად მოწესრიგებული ადამიანები წესრიგის დასამყარებლად ბევრ ძალას და ენერგიას ხარჯავენ და ხშირად ამიტომაც ვერ ახერხებენ უფრო სერიოზული საქმეებით დატვირთვას. ასე რომ, ოდნავი დაუდევრობა სასარგებლოც კი არის.

დიდი ხანი არ არის, რაც კანადის ქალაქ ტორონტოში გაიხსნა მარტოხელა მამაკაცთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზირებული სახლი. აქ მათ ურეცხავენ და უუთოებენ საცვლებს, უახლებენ ტანსაცმელს, უკერებენ ღილს. საყოფაცხოვრებო სახლი თავის ზენიტშია, რაც იმით არის განპირობებული, რომ, ადმინისტრაციის გასაკვირად, მათ აქტიურად ეწვევიან ხოლმე... ქალები, რომლებმაც თავი გაინთავისუფლეს მრავალმხრივი საოჯახო საქმიანობისაგან.

ირლანდიელმა მკვლევარებმა ერთობ მოულოდნელი პასუხი გასცეს კითხვას, თუ როგორი იქნებიან მამაკაცები ორი ათასი წლისათვის. პასუხგაცემული ანკეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი იქნებიან ალერსიანნი, გამგებნი, მომთხოვნნი, ამასთან ერთად, შეეძლებათ ყველაფრის საუკეთესოდ მომზადება.

# კულინარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ტრადიციულად საახალწლო ქართული სუფრის თავდაპირველ ნუგბარს გოზინაყი წარმოადგენს, ბუნებრივია ყველა დიასახლისს ექნება სურვილი მის სუფრასაც ამშვენებდეს იგი, მაგრამ რადგან ძვირად ღირებულ ნიგოზს ბაზარში ახლა უსაშველოდ მოუმატეს ფასი, ბუნებრივია, მრავალი ქალი და მით უფრო ახალგაზრდა დიასახლისები გადაიფიქრებენ გოზინაყის მომზადებას. არა და სურვილი ხომ ყველას დიდი აქვს, მათ შორის მეც. ჰოდა, გამახსენდა გამოცდილ დიასახლისთაგან გაგონილი: იჯრის დაკლებას ლუკმის დაკლება სჯობიაო და გახარებულმა, ვიდრე ნიგოზს შევიძენდი „ლუკმა დაკლებული" გოზინაყის რეცეპტი შევადგინე, რომელსაც თქვენც გთავაზობთ.

**მასალა გოზინაყისათვის:** 300 გრამი თეთრი ნიგოზი, 150-200 გრ თაფლი, 2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი.

მომზადების წესი: მჭრელი დანით ძალიან თხლად და მოგრძოდ დაჭერით ნიგოზი, მოფინეთ გაზქურის ტაფაზე, შედგით წინასწარ გახურებულ (ჩამქრალ) გაზქურაში და დატოვეთ იქ ვიდრე გაზქურა გაცივდება. შემდეგ გამოიღეთ, გააცივეთ ნიგოზი და სულის შებერვით მოაცილეთ კანი. ამის შემდეგ მოიყვანეთ ანუ მოამზადეთ თაფლი.

ღრმა, სქელძირიან, სახელურიან ტაფაზე მოათავსეთ თაფლი. დადგით ძალიან ნაზ ცეცხლზე (რათა თაფლი სწრაფად არ აქაფდეს და არ დაიწვას) და ხის კოვზით გამუდმებით ურიეთ. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ დაუმატეთ შაქრის ფხვნილი, კვლავ გამუდმებით ურიეთ ისევ ათი თხუთმეტი წუთის განმავლობაში; რომ დაადგინოთ თაფლი მოყვანილია თუ არა, აიღეთ ცივწყლიანი ჭიქა და ჩაუშვით ერთი-ორი წვეთი თაფლი. ნახეთ, თუ შეიკრა და მსხვრევადი, ხრაშუნა გახდა, თაფლი მოწეულია. მოწეულ თაფლში ჩაყარეთ ნიგოზი, სწრაფად და ღონივრად აურიეთ, შემდეგ სწრაფადვე გადმოიღეთ წინასწარ მომზადებულ სველ ფიცარზე, გააბრტყელეთ და მაშინვე დაჭერით.

ძვირფასო ქალებო! სხვადასხვა კერძებისა და ნამცხვრების მომზადების წესი ხომ უამრავი არსებობს, მაგრამ ხომ დამეთანხმებით, რომ ზოგი დიასახლისი რომელიმე კერძს თავისებურად გადააკეთებს ხოლმე ან იმიტომ, რომ არა აქვს ყველა საჭირო პროდუქტი, ან არ მოსწონს რომელიმე სუნელი. ჰოდა, რა მოხდება, ვინ დაგვსჯის იმისათვის, რომ ჩვენც ჩვენებურად მოვამზადოთ (გადავაკეთოთ) გოზინაყი იმ შემთხვევაში, თუ ის 300 გრამი ნიგოზიც არ გვეშოვება. როგორ? თხილით, ნუშით, კვახის თესლით, თუნდ არახისითაც კი. ვცადოთ, ვისაც როგორ შეგვეძლება ისე დავამშვენოთ ჩვენი საახალწლო სუფრა.

რაკი გოზინაყის საქმე ასე თუ ისე, „მოვაგვარეთ" ახლა ნამცხვარზეც ვიფიქროთ.

კარაქის გასაჭირიც რომ გვაქვს ცხადია, მაგრამ ნუ გგონიათ საკონდიტროებში ან „კოოპერატივებში" კარაქზე დამზადებულ ნამცხვრებს შეიძენთ. ახლა თითქმის ყველა მარგარინით აცხობს და რაკი ასეა, არ სჯობია ჩვენ თავად გამოვაცხოთ? რაც არ უნდა იყოს, შინ მომზადებული ნამცხვარი უფრო სასიამოვნო იქნება ოჯახის წევრთათვის. ასეა არა? თუ კი დამეთანხმებით, მაშინ შემოგთავაზებთ ფხვიერი ფირფიტების ერთ მარტივ რეცეპტს, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ვაშლის ღვეზელისათვისაც და კრემიანი არატიპიური ტორტისათვის.

ფხვიერი ფირფიტებისათვის საჭიროა: 4 კვერცხი, 300 გრამი უმაღლესი ხარისხის მარგარინი (თუ გაქვთ უმჯობესია კარაქი), 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 ლიმონის ცედრა, დანის წვერით ვანილი, 1 სუფრის კოვზი კონიაკი ან არაყი.

ყველა ზემოთჩამოთვლილი პროდუქტი კარგად ათქვიფეთ, შემდეგ შეურიეთ შერბილებულ-დაზელილი მარგარინი (კარაქი) და კვლავ ათქვიფეთ, ვიდრე ცხიმი და გოგლიმოგლი კარგად არ შეერევა ერთმანეთს.

შემდეგ შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ ფაფუკი ცომი. გაყავით იგი სამ ტოლ ნაწილად, თითოეული ცალცალკე მოათავსეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ გაზქურის ტაფაზე და ფქვილიანი ხელით ნელა-ნელა გააბრტყელეთ ისე, რომ ცომმა მთლიანად დაფაროს ტაფა და შედგით ნაზი სიმხურვალის მქონე გაზქურაში (მიაქციეთ ყურადღება არ დაიწვას, ცხვება სწრაფად), გამოიღებთ თუ არა მაშინვე, ვიდრე თბილია შემოაჭერით ნაპირები (რომელიც შემდეგ უნდა დაფშვნათ ღვეზელის ან კრემიანი ნამცხვრის მოსართავად) და განაგრძეთ დარჩენილი 2 ცომის გამოცხობა.

ვაშლის პიურე: 2-3 კგ ანტონოვკა ან რომელიმე რბილი ჯიშის ვაშლი გათალეთ, დაჭერით შუა-შუა, ამოაცალეთ გული, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით 1 ჩაის ჭიქა წყალი და შედგით ნელ ცეცხლზე (არ დაგეწვათ). რომ ჩაიშლება დააყარეთ 2-3 ჭიქა (ან თქვენი გემოვნებით) შაქრის ფხვნილი, ადუღეთ 5-10 წუთი, გადმოდგით, გააცივეთ და შემდეგ წაუსვით პიურე ფირფიტებს ფენასა და ფენას შუა და ზემოდანაც. ბოლოს მოაფრქვიეთ ზემოდან ფირფიტების ფხვნილი. ფირფიტები შეგიძლიათ მორთოთ შინ მომზადებული ნებისმიერ ხილფაფითაც, ან რომელიმე (მოხარშული ან კარაქის) კრემით არატიპიურ ტორტისათვის.

ქართული საახალწლო სუფრა უსაცივოდ? არა და აქაც ძვირადღირებული ნიგოზი, ინდაური ან ინდაურივით დედალი... მაგრამ არის გამოსავალი. თუ კი აფთიაქში ნებისმიერ წამალზე გვეუბნებიან შემცვლელს მოგცემთო, რა იქნება ჩვენც შევცვალოთ საცივი და ქათმის, ძროხის ან ღორის ხორცისაგან მოვამზადოთ ნიგვზიანი კერძი (ხარშო). მასალად საჭიროა: 1 ქათამი, ან ერთი კილო ხორცი, 200 გრამი გატარებული ნიგოზი, 6-7 კბილი ნიორი, 200 გრამი ხახვი, 1 კონა ნედლი ან 1 ჩაის კოვზი ხმელი ქინძი, 1 ჩაის კოვზი ყვითელი სუნელი, 1 ჩაის კოვზი უცხო სუნელი, პილპილი და მარილი გემოვნებით.

დაჭრილი ქათამი (ან ხორცი) მოათავსეთ ქვაბში და შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე. 5-10 წუთის შემდეგ დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ან მანქანაში გატარებული ხახვი, 10-15 წუთის შემდეგ (როცა ხორცი მზად იქნება) დაუმატეთ 2 ჭიქა წყალში გახსნილი ნიგოზი და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სანელებელი. წამოადუღეთ 5 წუთი და გადმოდგით ცეცხლიდან.

## დედათა უპირველესი საზრუნავი

# ბავშვთა სწორი მეტყველება

ყოველგვარი სწავლებისათვის, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია მოსწავლის ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა მისი დონე და განვითარების შემაფერხებელი გარემოებანი. აღნიშნული მოთხოვნა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული სკოლაში ბავშვის მიყვანის დროს.

დიფერენცირებული სწავლების აუცილებლობას, გონებრივი მდგომარეობის გარდა ხშირად განაპირობებს ფიზიკური ნაკლიც, როგორიც არის ბიოლოგიური სმენა, მხედველობა, მძიმე ფორმის ძვალკუნთოვანი დაავადებანი და სხვ. თუ რომელ სასწავლებელში უნდა სწავლობდეს ბავშვი, დამოკიდებულია დეფექტის ხარისხზე, რომელიც უნდა დადგინდეს სამედიცინო-პედაგოგიურ კომისიაზე.

ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა, ცხადია, ნორმას განეკუთვნება და ზოგადი ტიპის სასწავლებლებში სწავლობს, მაგრამ „ნორმის“ მიუხედავად, აქაც საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა; მხედველობის, სმენის, გონებრივი სფეროს, მეტყველებისა და სხვათა შედარებით დაბალი დონე მოითხოვს, საკორექციო, წამოსაწევ, განმმართველ ანუ შემავსებელ, ინდივიდუალურ ფრონტალურ ან ჯგუფურ-ინდივიდუალურ სწავლებას. გონებრივი და ფიზიკური მდგომარეობის დადგენასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მეტყველების გამოკვლევა.

ბავშვთა სასწავლო-საალმზრდელო პროცესში, განსაკუთრებით წერა-კითხვის დაწყების დროს, მასწავლებელი რაც შეიძლება ღრმად უნდა სწვდებოდეს თითოეული ბავშვის ფონემური აღქმის შესაძლებლობას. ამგვარი სმენის ხარისხზეა უპირველესად დამოკიდებული ბავშვის ენამეტყველების განვითარების მსვლელობა, რადგან ფონემატური სმენა ნიშნავს სამეტყველო სმენას და მეტყველება კი აზროვნების მთავარი პირობაა, მისი უმთავრესი იარაღია. უამისოდ აზროვნება ვერ ვითარდება, მხედველობაში გვაქვს მეტყველება საერთოდ და არა მარტო ლაპარაკი, ე. ი. მეტყველების მოტორული ანუ ექსპრესიული მხარე.

მეტყველების ნაკლი, ბავშვის სულიერი მდგომარეობის გარდა, შეიძლება გამოწვეული იყოს ცენტრალური და პერიფერიული სამეტყველო აპარატის ფიზიკური ანომალიებით, სამეტყველო გარემოს მოუწესრიგებლობითა და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ ნაკლი მკვეთრად გამოიხატება, ბავშვი უნდა სწავლობდეს სპეციალურ სამეტყველო სკოლაში, ან მიმაგრებული იქნეს ლოგოპედიურ პუნქტზე.

მეტყველების მრავალი სახის დარღვევათა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ფონეტიკური და ფონეტიკურ-ფონემატური ნაკლი. ფიზიოლოგიურად, გარკვეულ ასაკამდე, ასეთი „ნაკლი“ ყველა ბავშვს აღენიშნება და ჩვეულებრივი ხასიათი აქვს, მაგრამ, სასკოლო პერიოდისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას აღარ უნდა წარმოადგენდეს. ასეთ მდგომარეობაში ბავშვს გაუჭირდება ბგერათა დიფერენცირებული აღქმა და წერა-კითხვის მექანიკურ დაუფლებასთან გვექნება საქმე. ამ ფაქტს, სამწუხაროდ, დაწყებით კლასებში ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, რაც მოსწავლეთა საერთო განვითარებას, წიგნიერებას გამოუსწორებელ დაღს ასვამს; თანდათან ეკარგება წიგნის სიყვარული, ვერ მაღლდება მისი მოსმენის კულტურა, ვერ ფართოვდება ცნობიერებისა და განსჯის დიაპაზონი. ვინც ამ პროცესს ზერელედ უყურებს, საქმის გაიოლებისა თუ პასუხისმგებლობის არიდების მიზნით აცხადებს, რომ ბავშვი თვითონ თანდათან გაიუმჯობესებს მეტყველებასო. ეს ასეც ხდება, მაგრამ ნაკლი ისეთ შეუმჩნეველ კვალს სტოვებს, ისე ინილბება და ცოდნის დაუფლების ფსიქოლოგიური განწყობაც ისე ქვეითდება, რომ მოგვიანებით განმართული აღქმისა და წარმოთქმით ადრე დაკარგულის კომპენსაცია ჭირს.

ბავშვის ფსიქოლოგიაში კარგად არის ცნობილი, რომ შვიდ წლამდე მაინც ფონეტიკურ-ფონემატური აღქმის უნარი და წარმოდგენები ტრადიციული სწავლების პირობებში მნიშვნელოვნად ჩამორჩება სასკოლო მოთხოვნებს. ცხადია, ექვსი

წლის ბავშვთა სწავლებაზე გადასვლამ ეს არქიპრობლემა პედაგოგიკის წინაშე განსაკუთრებული ინტერესით წამოსწია წინ და ზოგადი ტიპის საბავშვო ბაღებში შემოიღო სპეციალური სამეტყველო ჯგუფების სისტემა: ფონეტიკურ-ფონემატური დარღვევების მქონე ხუთი-ექვსი წლის ბავშვებისათვის ერთი წლის სწავლების ვადით სკოლაში შესვლამდე, ხოლო არამკვეთრად გამოხატული მეტყველების საერთო განუვითარებლობის ფონეტიკურ-ფონემატური დარღვევების მქონეთათვის ორი წლის სწავლების ვადით. უფრო რთული ნაკლი, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი ტიპის სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებებს არ ექვემდებარება. ასეთი ბავშვები ღრმა მედიკო-პედაგოგიური გამოკვლევის საფუძველზე იგზავნებიან მეტყველების სპეციალურ სარეაბილიტაციო-საკორექციო დაწესებულებებში.

როგორც ვხედავთ, პრობლემა რთულია და დამაფიქრებელი, მაგრამ მისი გადაუჭრელობა აღარ შეიძლება. საკითხს განსაკუთრებით ართულებს მატერიალური ბაზებისა და კადრების სისუსტე. სამამულო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მონაპოვარი ჯერ კიდევ ვერ გასცდენია ვიწრო ჩარჩოებს, ყველა სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებას არ მიუწვდება ხელი მისი რეალიზაციისათვის. ცხოვრებისეული მომთხოვნელობა კი ბევრად გაიზარდა. საჭიროა, გავყვეთ მის ტემპსა და სწრაფვას.

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ განსაკუთრებით გააქტიურა მეტყველების საკორექციო სწავლებისადმი ყურადღება, და ვისაც რით და როგორ შეუძლია, ხელი უნდა შეუწყოს მის განვითარებას. რესპუბლიკის ბევრი წარმოება-დაწესებულება თავის საბავშვო ბაღებში ქმნის სკოლისათვის მოსამზადებელ სამეტყველო ჯგუფებს.

თითოეულ წარმოთქმულ ბგერას, თითოეულ სიტყვას, მათი მოხმარების შესაძლებლობებს ისევე უნდა ვუფრთხილდებოდეთ, როგორც ეროვნულ საგანძურს. უამისოდ ვერც ეკონომიკური გაძლიერების პერსპექტივებს შევასხამთ ხორცს და ვერც არსებულს შევინარჩუნებთ. ენა ხომ ერის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანია და მისი კეთილდღეობისათვის როგორ უნდა დავიშუროთ არსებული შესაძლებლობანი. მით უმეტეს, რომ ის არც თუ ისე ძვირი გვიჯდება. საჭიროა მხოლოდ კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება და სასწავლო-საალმზრდელო პროცესის ერთგვარი ტრანსფორმაცია, თითქმის იმავე ოდენობის ფინანსური საშუალებით, რაც დღეს გვეხარჯება. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ამ საქმეშიც, როგორც სხვა სფეროებში, ყველა როდი დგას ერთიან პოზიციაზე. „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხრი“-ს ფსიქოლოგია ღრმადა გვაქვს გამჯდარი.

ამრიგად, სკოლისათვის მოსამზადებელი სპეციალური სამეტყველო ჯგუფების მაქსიმალური გაფართოება დრომ ბუნებრივ მოთხოვნილებად აქცია, დაწყებით კლასებში (განსაკუთრებით პირველ, მეორე კლასების) წერა-კითხვის სწავლებისა და მეტყველების განვითარებისათვის, სახელდობრ მეტყველების აღზრდას ანუ ლოგოპედიურ საქმიანობას, დიაპაზონი უნდა გაუფართოვდეს იმ გაგებითაც, რომ დაწყებითი სკოლისათვის აუცილებელია ბავშვთა სამეტყველო მზადება, მეტყველების განმართვა. ამგვარი მზადების აუცილებლობაზე მიუთითებდა დიდი იაკობ გოგებაშვილიც.

ეს საკითხი დღეს ჩვენი ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ნაწილია. აქედან იწყება მშობლიური ენის საფუძვლების სიმტკიცე და ამიტომ მას უაღრესად გულისხმიერი დამოკიდებულება სჭირდება.

განსაკუთრებით დიდია დედათა მომთხოვნელობა და როლი ეროვნული ლოგოპედიის მიღწევათა ფართოდ გამოყენების საქმეში, ეს მათი უპირველესი საზრუნავია. მათ კატეგორიულად უნდა მოითხოვონ ის, რაც ბავშვებს სჭირდებათ სულიერი და ფიზიკური სრულყოფისათვის, იმ ძალისა და ღონისათვის, რომელიც შემდეგ სამშობლოს სამსახურში უნდა ჩააყენონ. დაწყებითი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა პედაგოგებისა და მშობლების ლოგოპედიზაცია ეროვნული საქმის ნაწილია.

როგორც სახარება გვასწავლის, „სამკალი ფრიად არს, მაგრამ მუშაკნი მცირედ“. მოვითხოვოთ და მოგვეცემა, „ირეკდით და განგეღოთ თქვენ“,—თქვენი ბავშვების, მშობლიური ენისა და დამოუკიდებელი საქართველოს ბედნიერებისათვის.

სანდრო შაიშმელაშვილი,
მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ლოგოპედიური ცენტრის გამგე.

## იმიჯის სკოლა

არსებობს იმიჯის სკოლები, რომელთა მოსწავლეები ეუფლებიან სრულიად სხვადასხვაგვარი სტილის ყოფაქცევას, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, იმიჯს. მაგალითად, მოსკოვში არსებობს ერთადერთი იმიჯის კოლეჯი. აქ ინდივიდუალური მოქმედების, მენეჯერების, სტიუარდესისა და მემანეკენე ქალების, ოფიციანტების და სხვა ფაკულტეტებზე მუშაობენ საუკეთესო პედაგოგები და თავიანთი საქმის ოსტატები, რომლებიც მსმენელებს ასწავლიან არა მარტო მეტად საჭირო პროფესიას, არამედ თანამედროვე ადამიანისათვის საჭირო სიახლეებს. მოსწავლეებს ემსახურეიან აერობიკა, უშუ ხელოვნება, ბალეტმეისტერები, მეტყველებისა და ეთიკის კულტურის პედაგოგები, ტრენაჟერები, ფსიქოლოგები, დიეტოლოგები, კოსმეტოლოგები და პარიკმახერები, მანეჟი, საუნა, აუზი — ბუნებრივია, ექიმების კონსულტაციით.

ყოველივე ეს მსმენელს ეხმარება პროფესიის გარდა შეითვისოს მიმზიდველი, ლაზათიანი, საქმიანი, თავის თავში დაჯერებული ადამიანის მონაცემები. თუ ყოველივე ამით ვინმე დაინტერესდება და მოისურვებს დაწვრილებითი ცნობების მიღებას, უნდა დაუკავშირდეს მოსკოვს ტელეფონით სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს 11-დან 18 საათამდე. ტელეფონის ნომერი: 192-05-51.

## მე-11 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ორცხობილა. 7. ტაქტი. 8. ჯინსი. 9. დუაიენი. 12. „ულისე“. 16. თოიძე. 18. ვერსალი. 19. ბამბაზია. 20. ჩიკვაიძე. 22. ბერინგი. 23. დოსიე. 25. ხომლი. 29. რეპრიზი. 30. აფიშა. 31. ბაგიო. 32. ნორმანდია.

შვეულად: 2. რეიდი. 3. ომნიბუსი. 4. ლოჯია. 5. შანსი. 6. ქსანი. 10. შუშაბანდი. 11. სენტენცია. 13. სალბუნი. 14. პერიგეა. 15. ალტინგი. 17. ონტარიო. 21. „ჰინჩრაქა“. 24. სარფი. 26. შატიე. 27. „პრადო“. 28. ხიბლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მანდილის" („საქართველოს ქალი") 1990 წლის ნომრების სარჩევი:

№ 1

პროზა, პოეზია:

რ. ინანიშვილი — თითები რომ ცდილობენ დამალვას, — მოთხრობა.

მ. ფოცხიშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

დედანო და დანო ჩვენნო — სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II

ნ. თარბამაძე — მისი შვილი მზე.

მ. ძველაია — მშვიდობა და სათნოება.

მ. ზარიძე — როცა დიდი ნიჭი გამშვენებს.

ჯ. ქურხული — თუშების სახელოვანი რძალი.

ნ. ზაალიშვილი — ნანა ცინცაძე.

გ. გამრეკელი — ლეილა მესხი — დიდი იმედი.

ე. ლებანიძე — ჩვენი შორეული ახლობლები.

ი. კუკავა — სიყვარულის ძალა.

ა. ციცქიშვილი — ტყის დაბადება.

მ. აბულაძე — ბავშვი და ოჯახური კონფლიქტები.

გ. გასიტაშვილი — ერთგულების სიმბოლო.

№ 2

პროზა, პოეზია:

ქ. ელისაბედაშვილი — ახე უეცრად — მოთხრობა.

გ. ნიკოლაევა — სიყვარულის ახსნა — იუმორი, თარგმნა ჯ. გორდაძემ.

მ. გონაშვილი, მ. გაბური — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ლ. ქინქლაძე — მომავლის იმედი.

ა. ზურაბიშვილი — მთავარია ნამდვილი ოჯახი.

ი. კუკავა — მე შინაგანი კარნახით ვმოქმედებ.

გ. მეფისაშვილი — მეცნიერული კვლევის გზით.

ლ. კაკაბაძე — მისი ხელების სითბო.

ნ. ელიაშვილი — ანეტა ბასიშვილი.

ლ. მესხი — ექსპერიმენტმა გაიმარჯვა.

ნ. ბუკია — ვესწრაფვით ნანატრ ოცნებას.

ი. გამსახურდია — როცა ქალაქი ილვიძებს.

ე. გოცვაძე — ვირუსული ჰეპატიტი ანუ „ვირუსთა სამეფო".

ვ. ვაშაკიძე — სპორტი და ქალის ჯანმრთელობა.

ვ. სიდამონიძე — ოდეტა კენი საქართველოში.

№ 3

პროზა, პოეზია:

ა. დავითიშვილი — ზამთარი დაგვიდგა. — მოთხრობა.

ი. აბაშიძე, გ. ბერიაშვილი, ა. ძოწენიძე, — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

მ. ბარათაშვილი — ჟამი ღვიძილისა.

ე. ჯაფარიძე — „დაჭკნობა ყვავილებისა, ღმერთო, რა დიდი ბრალია".

ნ. ჭიჭინაძე — მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე.

ვ. ივანოვი — სახელოვანი გზის დასაწყისი.

მ. ნაკაიძე — ქალიშვილი ალვანიდან.

ნ. თოიძე — ქართველ მქარგავ ქალთა ნამუშევრების პირველი რესპუბლიკური გამოფენა.

ნ. ჩიხლაძე — პირველი ქართველი ფილოსოფოსი ქალი.

ი. მიქაძე — უკრაინელი რძალი.

ა. თარხნიშვილი — განუკითხაობის ერთი ფურცელი.

გ. სვანიძე — გულის ჩინით.

მ. ასათიანი — „სასწაულების ტყვეობაში".

შ. მგელაძე — მშვენიერი სალონის დიასახლისი.

თ. გოგოლაძე — ...და ეტრფოდნენ მას, მარად მშვენიერს.

მ. ზარიძე — დედა სარას ორას ორმოცი შთამომავალი.

ლ. მასხულია — „სილამაზის" ქალბატონი.

№ 4

პროზა, პოეზია:

თ. ჩარექიშვილი — სამშობლოს მოფერება უნდა! ყვავილები ლაპარაკობენ, „ლანდები" — ნოველები.

მ. მაჭავარიანი, ნ. შამანაძე, ლ. მასხულია, ლ. ცქვიტიშვილი. ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

გ. სტურუა —კურთხეულ იყოს ასეთი საქართველო!

რ. გრიგოლია — მიწას პატრონობა სჭირდება.

ც. კახნიაშვილი — ახალდაბადებულის ფიქრები.

ი. კუკავა. — ამბავი სიყვარულისა, პოეზიისა და მეგობრობისა.

ქ. გოგიჩაშვილი — ბრეთელთა ბაღების ბარაქა.

მ. ჯორბენაძე — თბილისს ეტობა მათი ხელი.

ო. ნაგარნინა — დადგება დრო.

ნ. გოშუა — ღირსეული დედის კვალზე.

ლ. ნოდია — დღეს კარგი ამინდი იქნება.

დ. ფანჯიკიძე — ისრაელელი ქალები.

ნ. არჩვაძე — ვფურცლავ საოჯახო ალბომს.

თ. ნინიძე — აპრილი მოვიდა.

რ. ნაციაშვილი — ცაგარეიშვილი — ქალის ბიგიენა.

გ. თაქთაქიშვილი — დედა ფუტკარი.

№ 5

პროზა, პოეზია:

კ. ტაბატაძე — ფრონტული ხუმრობა. — მოთხრობა.

ფ. ბახჩინიანი, ნ. დარსაველიძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

მ. ბარათაშვილი — „დიდების" დაბრუნება.

ი. კუკავა — მუდამ ძიებაში.

დ. იორდანიშვილი — მშვიდობის ხიდები.

ნ. ქურდაძე — მწარედ მოსაგონარი.

ი. კერესელიძე — ხატინის ტრაგედია.

ლ. კაკაბაძე — ყაყაჩოები როცა აყვავდებიან...

მ. აბრამია — შრომის სიკეთე.

რ. ბაინდურაშვილი — გვექნება ახალი სასტუმრო.

თ. გომართელი — მისი მრავალმხრივი ინტერესები.

ა. ბარბაქაძე — „დედის დღე".

ლ. ხვედელიძე — მოდების სპეციალისტთა შეხვედრა.

ვ. ვაშაკიძე — განქორწინება ერის უბედურებაა.

დ. ქათამაძე — შტრიხები მისი პორტრეტისათვის.

თ. გიორგაძე — ლეგენდად შემორჩა ხსოვნას.

გ. სტურუა — ვიყოთ უკეთესნი შინ და გარეთ.

ნ. ბუკია — ფერთა ჰარმონია.

№ 6

პროზა, პოეზია:

თ. გოგოლაძე — ქეთევან ვესტფალი — გერმანელი ფაშისტი?! — მოთხრობა.

ნ. ჩაჩავა, ა. ხეცაძე, ი. ნაცვლიშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ლ. სანიკიძე — არა შვილ კლა!

გ. გოჩიტაშვილი — დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები.

ნ. გრძელიშვილი — რა აღლეგრძელებს სამშობლოს.

რ. ნიკურაძე — დედათა სავანე გვიხმობს.

მ. ბარათაშვილი — მშვიდობით, ნინო!

რ. გრიგოლია — ჩვენი მომავლის საკეთილდღეოდ.

ნ. ბუკია — ნორჩი შემოქმედი.

მ. კულოშვილი — „სოფიო მასწავლეველ — ჩონ დედაის ჩოწ მხსნელი".

ნ. ჩადუნელი — დიდი მოამაგე.

ე. ჯაფარიძე — უზენაესი საზრუნავი.

შ. ფუტკარაძე — სვეტი ნათლისა.

ე. გერი — ოჯახში ბავშვი გაჩნდა.

ლ. ტაბიძე — თოჯინები დაგვცინიან.

№ 7

პროზა, პოეზია:

ია კეთილაძე — დაგვიანებული შეხვედრა — ნამდვილი ამბავი.
მ. ადეიშვილი — სინანული, მე რომ დედამ მიმატოვა, — ჩანახატები.
მ. მათითაშვილი — ემანსიპაცია ანუ ვინ ვარ მე? — იუმორი.
თ. ყურაშვილი, ლ. ჭავჭავაძე, — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ლ. კოშკაძე — პრესკონფერენცია რედაქციაში.
მ. ზარიძე — აქ შრომა სახალისოა.
დ. გუზუკაშვილი — ქართველი ამორძალები.
ვ. ძიგუა — დმანისის თეატრი.
ნ. ღვინეფაძე — ალმასის ჯვარი.
ნ. არჩვაძე — ტყუპების ზეიმი.
თ. დეკანოსიძე, ლ. მაჭავარიანი, თ. ალექსიძე — ტატიანა შატილოვა.
თ. ნინიძე — საქართველოს მომავალი.
ნ. ბუკია — ერთგულება.
ლ. მუსხელაძე — რა ვუთხრათ შვილთა მრავალთა?
მ. მესტიაშვილი — საჭიროა თუ არა სექსზე საუბარი ბავშვებთან.
ნ. ივანიძე — მღებავობა მესხეთში.

№ 8

პროზა, პოეზია:

ი. ტალიაშვილი — ომეგა — მოთხრობა.
ა. წერეთელი — გაზაფხული — ლექსი.
ნ. ჭედია, ლ. ბარათაშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

შ. გოზალიშვილი — თავს ევლებოდნენ ერის მოძღვარს, აკაკი წერეთელი და მეფის ცენზურა.
ა. ლომიძე — თავს დაგვყურებს მოდინახე...
კ. ლიაძე — ოცნება და სინამდვილე.
ნ. კუპრეიშვილი — ქარხნის ნიჭიერი „დირიჟორი“.
მ. გორგილაძე — სოფლის დედა.
შ. ლეკვეიშვილი — მამულს უზრდიდნენ შვილებსა.
ი. ჩოფიკაშვილი — ქუთაისელ ქალთა ქველმოქმედება.
ი. კუკავა — ერთხელ ამამღერე.
ე. ჯაფარიძე — ერთი მრავალთაგანი.
ნ. ნატროშვილი — „დაკარგული დედები“.
ნ. ჯვარაძე — ტერ კიდევ გასულ საუკუნეში.
ო. დადიანი — არ დაუჯერეს.
მ. ჭიჭიაშვილი — ვინ არის მართლაც პატრიოტი? ანუ მდიდარი ღარიბები...

№ 9

პროზა, პოეზია:

კ. დევდარიანი — მელოდე — მოთხრობა.
მ. კერესელიძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ი. კუკავა — ქართული ეროვნული სკოლა — როგორი იქნება იგი ხვალ?!
მ. ბარათაშვილი — მანდილი გვიხმობს.
ბ. გამრეკელი — ორგზის ჩემპიონი — თუხგზის ჩემპიონის მოწაფე.
მ. ჯანაშია — დახლის მუშაკთა სატკივარი.
ნ. თარგამაძე — ფიქრები ბავშვებზე.
თ. ბარათაშვილი — როცა სოფელი მადლიერია.
ლ. ტაბიძე — ზღვა უხმობს კაპიტნებს.
თ. დემეტრაშვილი — რა გიჭირთ, რა გილხინთ?
დ. მდივნიშვილი — თეატრი მისი საფიცარია.
ლ. ლომია — კიდევ ერთხელ პროფილაქტიკურ აცრებზე.
ჟაკლინ ბუვიე და მისი ორი ქმარი.

№ 10

პროზა, პოეზია:

ლ. არაბული — ფიქრია — მოთხრობა.
ა. გელოვანი, ნ. ჯღამაძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ლ. კოშკაძე — სოფელს სიყვარული გადაარჩენს.
ე. ლალანიძე — სწორი გზით [illegible]
გ. გიგინეიშვილი — სირცხვილი იმ გზააბნეულებს!...
ზ. ზოიძე — დიდი დედა.
ლ. კაკაბაძე — „ქარვის“ ქალბატონი.
თ. ნინიძე — „ივერია“ ლიტვაში.
მ. კალანდაძე — ელისაბედი.
ი. კუკავა — ისმინეთ, დედანო!
თ. ებანოიძე — ტრიერელი სტუმარი.
ნ. ბუკია — ტრადიციას არ ღალატობენ.
ე. დიდიმამიშვილი — ჩემი მარიჯანი.
ლ. ჭიჭინაძე — გულითადი მზრუნველი.
ნ. კუპრეიშვილი — „თეთრონი“.
ო. რევია — ჯიბლაშვილების ოჯახი.

№ 11

პროზა, პოეზია:

თ. ჭეჟია — ეგებ გაიხარებდა პატარა ქალი — მოთხრობა.
ხ. გელაშვილი — ჩანახატები.
ე. დიდიმამიშვილი, მ. ბებაშვილი — ლექსები.

ნარკვევები წერილები:

მ. ბარათაშვილი — სოფელზე ფიქრით...
რ. ნიკურაძე — ორი სიცოცხლე.
მამა გიორგი — ღმერთი არს ჩვენთან.
ი. ღლონტი — რას გვაძლევს კანონი დედებსა და ბავშვებს.
ე. ჯაფარიძე — როცა სიკეთის ზარები რეკენ.
მ. ლორთქიფანიძე — თამარ, კონსტანტინეს ასული.
გ. ბაქრაძე, რ. სვანიშვილი — სპორტი და ქალი.
ა. ფუხაური — ძროხა და შავი ხათვალე.
ბ. ყურაშვილი — გახსენება.
ვ. ვაშაკიძე — ქალთა ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი საკითხი.
ნ. ჯღარკავა — ცოდვა.
მ. ზარიძე — ფიქრი მაღალ საგაზრდილოზე.
ზ. გელაშვილი — ჩვენი დახმარების ხელი ჯავახებს.

№ 12

პროზა, პოეზია:

ა. დავითიშვილი — შემოდგომა, — მოთხრობა
კ. ფოცხვერაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი „დიდება“.
ნ. თარიშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები

ძ. გოგიჩაშვილი — ჯანმრთელი მომავლისათვის.
თ. მაღრაძე — დაუვიწყარი ერთი წელი.
ლ. ზირაქიშვილი — ვინ გაგვცემს პასუხს?
ლ. ტაბიძე — მოხუცთა სახლი.
დ. მდივნიშვილი — დედა ნახე, მამა ნახე.
ნ. დავითაშვილი — დიდი სატკივარი...
ზ. გეთიაშვილი — წყალგალმა დარჩენილი კაცი.
ნ. უმიკაშვილი — აცრები ყველა ბავშვისათვის აუცილებელია.
ს. შაიშმელაშვილი — ბავშვთა სწორი მეტყველება.
მ. ქემაშვილი-ადამაშვილი — ყველა ქალი ლამაზია, თუ...

ნომრებში: კულინარული რეცეპტები, ფერად-ფერადი, მოდები, რჩევები, ქალთა საბჭოებში

რედაქციის მისამართი — მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54 მასალები გადაეცა ასაწყობად 6. 11. 90 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 01. 91 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8 ტირაჟი 177 000. შეკვ. 2412 ფასი 30 კაპ. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8.

## სილამაზის გაკვეთილები

# ყველა ქალი ლამაზია, თუ...

სრულ სიმართლეს მოგახსენებთ — ყველა ქალი ლამაზია, თუკი ის ცოტა, სულ ცოტა ყურადღებას მაინც მიაქცევს თავის გარეგნობას. ბევრი იტყვის, სად მცალია სამაგისოდ, როცა ათასი საფიქრალი მაქვს — საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური, სამსახური, თუ საქვეყნო სადარდელიო. მოიცალეთ, სულ ნახევარი საათი დაუთმეთ თქვენს გარეგნობას და მაშინ შინაურისა თუ გარეულის თვალისათვის სასიამოვნო და მიმზიდველი დასანახავი იქნებით, მაშინ ქუჩაში თვალში აღარავის ეცემა თქვენი გაწამებული, დაღლილ-დაქანცული იერი. როცა სახე მოვლილია — არც გამონაყარია ზედ რამე, არც ლაქები, არც მუწუკები, ქალი უფრო ლაღად, დაჯერებულად გრძნობს თავს და ყოველდღიური საზრუნავის მოგვარებაც უფრო უადვილდება...

მაშ ასე, რამდენიმე რჩევა ქალებს საიმისოდ, რომ ყველანი ლამაზები იყვნენ:

თუ მშრალი კანი გაქვთ, ყოველდღე ონკანის წყლით პირის დაბანაც არ არის სასარგებლო, აჯობებს გამოხდილი წყლით დაიბანოთ პირი, ანდა გაიწმინდოთ სახე რძის ლოსიონით (ნუშის რძე და სხვ.). სპირტიანი ლოსიონები არამც და არამც არ იხმაროთ; ისინი ცხიმიანი კანის გასაწმენდად არის კარგი. პირის დაბანის თუ გაწმენდის შემდეგ, ოდნავ ნამიან სახეზე წაისვით მკვებავი კრემი, შემდეგ კი პუდრი (პუდრის წასმა უმკვებავოდ დაუშვებელია).

თუ სახეზე გამონაყარი — მუწუკები ან ფერიჭამიები გაქვთ, ხელით არ აწვალოთ კანი. 1/2 ლიტრ მდუღარე წყალში ჩაყარეთ 3 სუფრის კოვზი გვირილა (იყიდება აფთიაქებში ან შეგიძლიათ თვითონ გაახმოთ), გააჩერეთ ერთი ღამე, დილით გადაწურეთ დოლბანდის ნაჭერში და იხმარეთ პირის დასაბანად.

გარდა ამისა, გირჩევთ გაიკეთოთ ძალიან იოლად მოსამზადებელი ნიღბები. (ნიღბების გაკეთება შეიძლება დღის ყოველ მონაკვეთში, თქვენთვის მოსახერხებელ დროს).

ყველა ტიპის კანს უხდება კარტოფილის ნიღაბი.

ძველი კარტოფილისაგან გააკეთეთ სქელი პიურე (ისეთი, რომ სახეზე გაჩერდეს). წაისვით თბილთბილი ოდნავ ნამიან სახეზე. გაცივება არ დააცალოთ, 20 წუთის მანძილზე რამდენჯერმე შეცვალეთ თბილი ნიღაბი, შემდეგ ჩამოიბანეთ ჯერ თბილი, მერე ცივი წყლით და წაისვით მკვებავი კრემი. (პირის ჩამობანა ჯერ თბილი, შემდეგ ცივი წყლით და ნამიან სახეზე მკვებავის წასმა საერთო რჩევაა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისთვისაც).

გახეხილი ვაშლის ნიღაბი 15 წუთით რომ გაიჩეროთ სახეზე და მერე ჩამოიბანოთ, კანი ხავერდისებრ სილბოსა და სითბოს შეიძენს.

მშრალი კანის პატრონებს ვურჩევთ წაისვან სახეზე ერთმანეთში კარგად ათქვეფილი 2-2 სუფრის კოვზი ხაჭო და მაწონი და გაიჩერონ ნიღაბი 15-20 წუთი;

ცხიმიან კანს უხდება ამგვარი ნიღაბი: კარგად ათქვეფილი 1 კვერცხის ცილა 15 წუთით.

სახეზე ლაქების ამოსაყვანად დაამზადეთ ასეთი ნარევი, ათქვიფეთ 1 კვერცხის ცილა, 1 საშუალო ზომის ლიმონის წვენი და 1 ჩაის კოვზი შაქარი, 10 წუთით ჩაალბეთ შიგ ორად გაკეცილი დოლბანდის ნაჭრები (რამდენიც გჭირდებათ), მერე ამოიღეთ, ოდნავ გაწურეთ და დაიდეთ ლაქებიან ადგილებზე (10-15 წუთით, დრო შეგიძლიათ თანდათანობით გაზარდოთ 20-25 წუთამდე). გაიმეორეთ ეს პროცედურა კვირაში ორ-სამჯერ, ლაქები თანდათან გაფერმკრთალდება, შესაძლოა გაქრეს კიდეც.

კიდევ ერთს გირჩევთ: კარგი იქნება, თუ დაახლოებით თვეში ერთხელ ეწვევით კოსმეტიკის კაბინეტს ფერიჭამიებისაგან სახის გასაწმენდად — ეს ფორებში დაგროვილი მტვერია, რომელიც დაბანით არ ამოდის და კანის სუნთქვას აძნელებს. ფერიჭამიები, ჩვეულებრივ, იზრდება და ხელით ამოღებისას დიდ ფოსოებს ტოვებს. ისე რომ, უმჯობესია, დროდადრო კოსმეტოლოგთან შეიაროთ.

**მანანა ქემაშვილი-ადამაშვილი.**
კოსმეტოლოგი.

## რჩევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სუფი გადაგიმლაშდათ, ამის გამოსწორება შეიძლება. ერთი ჭიქა ფქვილი ან ბრინჯი მოათავსეთ სუფთა ტომარაში, მჭიდროდ მოუკარით თავი ძაფით და წამოადუღეთ გადამლაშებულ წვნიანში. ფქვილი და ბრინჯი მარილს შეიწოვს.

ნუ დასდებთ სათვალეს მაგიდაზე შუშის მხრიდან. იგი დაიფხაჭნება და მალე გამოვა წყობიდან.

ცეკვა მხოლოდ აქტიური დასვენების საშუალება როდია, იგი კეთილგანწყობად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, რისი უარყოფაც უგუნურება იქნებოდა. თუ თქვენ გიყვართ ცეკვა და სიამოვნებით მისდევთ მას, იგი მოგიხსნით გაღიზიანებას, ცუდ ხასიათს, მოგიწესრიგებთ ტონუსს, არტერიულ წნევას. ვინც სამოცდაათი წლისაა, მისთვის რეკომენდებულია წყნარ რიტმში ცეკვა. ახალგაზრდებმა კი დაე, იცეკვონ, რამდენიც და როგორც სურთ.

ხანგრძლივი და ძლიერი გახურებისაგან საჭმელი ზეთი თავის სასარგებლო თვისებებს კარგავს. რეკომენდებული არ არის ერთიდაიგივე რაოდენობის ზეთში სხვადასხვა საჭმლის შეწვა, ვინაიდან ასეთი საჭმელი აღიზიანებს კუჭნაწლავის ლორწოვან გარსს, ღვიძლს. გამორიცხული არ არის რამდენიმეჯერ წამოდუღებული ცხიმის კარცეროგენური მოქმედება.

თამბაქოს წევა ცუდად მოქმედებს მხედველობაზე, ამას ამტკიცებს ექიმების საუკუნოვანი დაკვირვება. იგი იწვევს მხედველობის დაქვეითებას, ხედვის არეში ჩნდება ლაქები. განსაკუთრებით უარესდება საჭესთან მჯდომ მწეველთა რეაქცია შუქნიშანზე.

იცით თუ რა თქვენ, რომ როცა გაზქურის ოთხივე ნაკადია ჩართული, სამზარეულოში, თუ ჰაერი არ ნიავდება, იზრდება ტოქსიკურ ნივთიერებათა რაოდენობა.

რაც შეიძლება ხშირად, თვეში ორჯერ მაინც გაწმინდეთ ფანჯრის შუშები შიგნიდან. კარგ ამინდში კი — გარედანაც ჭუჭყიანი შუშა ცუდად ატარებს სინათლეს და 50 პროცენტით კარგავს ულტრაიისფერ სხივებს.

ფასი 80 კაპ.

ნ 30/16

ინდექსი 7617

ეროვნული ბიბლიოთეკა

